



საქართველოს
სახალხო დამცველი

შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებრივი
მდგომარეობა საქართველოში

2015 წელი



www.ombudsman.ge



ევროკავშირი



გამოცემულია ევროკავშირის ხელშეწყობით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებებზე სრულად არის
პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

შესავალი	5
1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ბაეროს 2006 წლის კონვენციის იმპლემენტაცია და მონიტორინგი საქართველოში	9
1.1. საქართველოში კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული გამოწვევები.....	10
1.2. კონვენციის კოკულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგი ეროვნულ დონეზე	11
1.3. კონვენციის ფაქულტატური ოქმის რატიფიცირების პრობლემა.	12
2. მისაწვდომობა	15
2.1. სატრანსპორტო საშუალებების და საბჭაო ინფრასტრუქტურის მისაწვდომობა.....	16
2.1.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სატრანსპორტო საშუალებების და საბჭაო ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალურ დონეზე.....	17
2.2. აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმი.....	22
2.2.1. ნაქალაქების შემთხვევა	23
2.3. ინფორმაციის მისაწვდომობა	25
3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა ბადაწვებტილებების მიღების პროცესში	32
3.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოების შექმნის დინამიკა	33
3.1.1. საბჭოების შექმნის საფუძველი და საქმიანობის დინამიკა.....	34
3.1.2. საბჭოებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ან/და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა	36
3.1.3. საბჭოების შექმნის/ამოქმედების პროცესში ბამოვლენილი ხარვეზები.....	37
4. ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებთან დაკავშირებით.....	39
5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები.....	44
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი სოციალის ხელშეწყობა	47

6.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლების რეალიზება	47
6.2. სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა	53
რეკომენდაციები	55

შესავალი

საანგარიშო პერიოდში ძირითად გამოწვევად კვლავ რჩებოდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციის იმპლემენტაცია. შეფერხებულია როგორც აღნიშნულ დოკუმენტთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის, ასევე მისი დებულებების პრაქტიკაში სათანადოდ დანერგვის პროცესი. პარლამენტში ჯერ კიდევ არ მომხდარა კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, რომელიც უფლებადარღვევის ფაქტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაეროს შესაბამისი კომიტეტისთვის მიმართვის შესაძლებლობას მისცემს.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის იმპლემენტაციის ორგანოდ განისაზღვრა პრემიერ მინისტრთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭო, სახელმწიფომ ვერ შექმნა ქმედითი და ეფექტური მექანიზმი, რომელიც კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყოფდა მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციას. საბჭო, რომელიც ფაქტიურად არ ფუნქციონირებს, მისი სტატუსის, შემადგენლობისა და საქმიანობის ფორმატის გათვალისწინებით, თეორიულადაც ვერ მოახერხებს იმპლემენტაციის ორგანოს მთავარი ფუნქციის – კონვენციასთან დაკავშირებით თანმიმდევრული შიდა პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და კოორდინაციის განხორციელებას.

2015 წლის იანვრიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, როგორც კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის ორგანომ, დაიწყო მექანიზმის ფორმირება, რომელიც მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტს, საკონსულტაციო საბჭოს და მონიტორინგის ჯგუფს. მექანიზმის საქმიანობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭომ უკვე გამართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილეს სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით.

წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმირებას, „ქმედუნაროდ აღიარებული პირის ჩანაცვლების“ პრინციპის შეცვლას „გადანწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერით“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების პროცესში, არ მოხდა ცალკეული გარემოებების სათანადოდ განჭვრეტა და გათვალისწინება. აღნიშნული ძირითადად უკავშირდება პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესების დროს მის მიერ გარკვეული გადანწყვეტილების (მაგ.: ჰოსპიტალიზაციის, მკურნალობის, ფინანსური ტრანზაქციების) მიღების შესაძლებლობის არქონისა და მისგან მომდინარე საფრთხეების მოწესრიგების საკითხს. გარდა ამისა, სახალხო დამცველის-

ვის ცნობილი გახდა პრაქტიკაში არსებული ისეთი ხარვეზების შესახებ, რომლებიც სასამართლოებში საქმეების განხილვასაც ახლავს თან. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის იმპლემენტაციის სიღრმისეული კვლევის შედეგებს სახალხო დამცველი საზოგადოებას ახლო მომავალში წარუდგენს.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014–2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით“¹ და „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით (2014–2015 წლებისათვის)“² გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების მიზნით განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ გეგმების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა ფაქტობრივად იწურება, პასუხისმგებელ უწყებებს სათანადოდ არ შეუსრულებიათ მასში მოცემული ვალდებულებები, რაც ნეგატიურად აისახება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზებისა და მათი ცხოვრების ხარისხზე.

პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა თუ ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფა. კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და 2014 წელს მთავრობის მიერ დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი“ გათვალისწინებული მოთხოვნების მიუხედავად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ხშირად ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების უგულებელყოფა და არსებული ნორმების დარღვევა. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა მისაწვდომობასთან დაკავშირებული რამდენიმე საქმე შეისწავლა და რეკომენდაციით მიმართა პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს.

2015 წელს სამწუხარო პრაქტიკას წარმოადგენდა სპორტულ, კულტურულ და გასართობ ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული საჭიროებების უგულებელყოფა. მათ შორის იყო სპორტის სასახლეში, პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოსა და ევროპის ოლიმპიურ ახალგაზრდულ ფესტივალ „თბილისი 2015“-ის გახსნის ცერემონიაზე დასწრების მსურველ ეტლით მოსარგებლე ადამიანებისათვის შექმნილი დაბრკოლებები.

ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის უფლების რეალიზებასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან საინფორმაციო, გასართობი და სხვა სახის სატელევიზიო პროგრამების, ფილმების მათთვის მისაწვდომი ფორმით მინოდების საკითხი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება საქართველოს კომუნიკა-

1 იხილეთ: http://government.ge/files/381_40157_501181_76200114.pdf

2 იხილეთ: http://government.ge/files/382_43290_797918_4452c92c072c14.pdf

ციების ეროვნული კომისიის მიმართ ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფას, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სატელევიზიო პროგრამების და ფილმების მისაწვდომობას სხვადასხვა ფორმების, მეთოდების, საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

სახელმწიფოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა, სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზება და დასაქმება. ბოლო თვეების განმავლობაში საგრძნობლად იმატა იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეთა მიმართვიანობის რიცხვმა სახალხო დამცველისადმი, რომლებიც თვლიან, რომ ახალი „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“³ დამტკიცების შემდეგ არსებითად გართულებულია მათთვის საარსებო შემწეობით სარგებლობის უფლების მოპოვება, რაც, თავის მხრივ, იწვევს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას.

მნიშვნელოვანია ამ პირთა შრომის უფლების რეალიზების კუთხით არსებული გამოწვევები. სახელმწიფოს კვლავაც არ აქვს შემუშავებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა დასაქმების პოლიტიკა, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და პროგრამები, რაც ხელს უშლის მათ დამოუკიდებელ ცხოვრებასა და საზოგადოებაში ინკლუზიას. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულ 53109 ადამიანიდან მხოლოდ 112 არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი⁴.

პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას ბავშვობის ასაკიდან სახელმწიფო ზრუნვის ქვემეყოფი პირებისთვის, რომლებიც სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელი ტოვებენ სახელმწიფო ინსტიტუციებს და უმეტესად, საცხოვრებლის გარეშე რჩებიან. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას, სადაც მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები ამ ადამიანთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე.

ხარვეზებით ხორციელდება ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონებში, არ არის ჩართული აღნიშნულ პროცესში. ამასთან გამოწვევაა სწავლების ხარისხი და უწყვეტობა.

კვლავ პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უფლების სრულფასოვანი რეალიზება. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოქმედების მიუხედავად, არ ხდება ამ პირთა განსა-

3 „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N 758 დადგენილება, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2667586>

4 საჯარო სამსახურის ბიუროს 2015 წლის ანგარიში, გვ. 22; ხელმისაწვდომია: http://csb.gov.ge/uploads/2015_GEO_web.pdf

კუთრებული საჭიროებების გათვალისწინება, მწვავეა შშმ პირთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის საკითხი.

მოქალაქეთა ნაწილს ბარიერები ექმნება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის დროს. ხშირად საკამათო ხდება აღნიშნული პროცედურისთვის ფინანსური ანაზღაურება. მართალია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში არსებობს დათქმა იმის თაობაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ექსპერტიზისათვის, კერძოდ, შშმპ-ის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა, ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, თუმცა სადავო თემაა სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზის გავლის დროს გადასახდელი თანხის ანაზღაურება.

საანგარიშო პერიოდში, არაერთგზის ადგილი ჰქონდა შშმ პირთა მიმართ სტიგმისა და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების, სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების გამოვლენას.

სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა სწრაფი კვების დაწესებულების „ქეი ეფ სის“ მიერ გამოქვეყნებულ სარეკლამო ხასიათის ფოტოს, რომელიც შეიცავდა სტიგმასა და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას ფსიქიკური შეზღუდვის მქონე პირების მიმართ.

2015 წელს შემამოფოთებელი ტენდენცია დაფიქსირდა საზოგადოების ცნობილი სახეების, მათ შორის პოლიტიკოსების მხრიდან სიძულვილს ენის გამოვლენასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველმა მოუწოდა ყველა პირს, განსაკუთრებით მაღალი საჯარო თანამდებობის პირებს, თავი შეიკავონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცველი დამოკიდებულების გამომხატველი განცხადებებისაგან. უფრო მეტიც, ყოველმხრივ უზრუნველყონ მათი უფლებების თანაბარი დაცვა და საქმიანობის გააქტიურება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ბაეროს 2006 წლის კონვენციის იმპლემენტაცია და მონიტორინგი საქართველოში

საერთაშორისო საზოგადოებამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა უკვე რამდენიმე ათეული წელია დანერგა. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი სავალდებულო ძალის დოკუმენტი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია (CRPD) – 2006 წელს იქნა მიღებული. კონვენცია ნარმოადგენს უნივერსალური შეთანხმების შედეგს და ავსებს ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს. თუმცა, მის მიერ დანერგილი შშმ პირთა უფლებების რეალიზების მექანიზმები ჯერ კიდევ სიახლეა სახელმწიფოების უმრავლესობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ CRPD მოითხოვს მისი იმპლემენტაციის და მონიტორინგის განხორციელებისთვის კონკრეტული პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრას ეროვნულ დონეზე ამ მხრივ არსებული პრაქტიკა კი არაერთგვაროვანი და არც ისე მდიდარია. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზია ისიც, რომ კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელებისა და მონიტორინგის დეტალური რეგულირება პრაქტიკულად პირველად გაიწერა მსგავსი ტიპის დოკუმენტში.

კონვენციის იმპლემენტაციისა და ამ პროცესის მონიტორინგისთვის ეროვნულ დონეზე სხვადასხვა მექანიზმების არსებობა გათვალისწინებულია მისი 33-ე მუხლით. სახელმწიფოების ეკისრებათ ვალდებულება, განსაზღვრონ ერთი ან რამდენიმე ძირითადი ორგანო მთავრობაში (საკონტაქტო უწყება), რომელთა ფუნქცია იქნება კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა და კოორდინაცია. ასევე, სახელმწიფო ვალდებულია დაასახლოს ან გააძლიეროს ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი მექანიზმი კონვენციის იმპლემენტაციის პოპულარიზაციის, დაცვისა და მონიტორინგისთვის.

კონვენციის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციასთან და მონიტორინგთან დაკავშირებით კონკრეტული ვალდებულების განსაზღვრა ნარმოადგენს მისი სრულად დანერგვისათვის აუცილებელი ინსტიტუციური წინაპირობების შექმნის მნიშვნელოვან საშუალებას.⁵

საქართველოსთვის ზემოაღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულება 2014 წლის აპრილიდან არის სავალდებულო ძალის მქონე. რის შემდგომაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტში მოცემული სტანდარტების ჰარმონიზაცია, იმპლემენტაცია და დაცვა.

2014 წლის 27 ოქტომბერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს N6 სხდომაზე გაეროს შეზ-

5 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების კონფერენცია, მე-7 სესია, ნიუ-იორკი, 2014 წლის 1 აპრილი, მრგვალი მაგიდა N2, კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები – ანგარიში; პარ. 7; [<http://www.un.org/disabilities/documents/COP/COP7/CRPD.CSP.2014.3.E.pdf>]

ღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის იმპლემენტაციის ორგანოდ განისაზღვრა შპმ პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო, კოორდინაციის მექანიზმად კი მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო. კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის სტრუქტურად საქართველოს სახალხო დამცველი დასახელდა.⁶ აღსანიშნავია, რომ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ასახულია მხოლოდ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრემიერ მინისტრი და ამ დრომდე არ არის დადასტურებული სხვა სამართლებრივი აქტით.

1.1. საქართველოში კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული გამოწვევები

კონვენციის 33-ე მუხლის პირველი პუნქტში აღნიშნულია, რომ მისი აღსრულება ეროვნულ დონეზე არის მთავრობის ვალდებულება. ამ უკანასკნელის არაკოორდინირებული მოქმედებისა და კონკრეტული უწყებების პასუხისმგებლობის ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ერთი ან რამდენიმე იმპლემენტაციის ორგანოს დასახელება და საკოორდინაციო მექანიზმის არსებობა.⁷

თავად კონვენცია არ განსაზღვრავს იმპლემენტაციის ორგანოს ფორმას და სპეციფიკურ ფუნქციებს, თუმცა წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ საჭიროა ადეკვატური რესურსის გამოყოფა, რათა ჯეროვნად განხორციელდეს მისი დებულებების დანერგვა და, ამ მიზნით, სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინაცია.

გაეროს კონფერენციაზე⁸ წევრმა სახელმწიფოებმა იმსჯელეს იმპლემენტაციისა და კოორდინაციის ორგანოს ფორმაზე, შედეგად გამოიკვეთა, რომ აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება: იმპლემენტაციის ორგანოდ უნდა დასახელდეს შეძლებისდაგვარად უმაღლესი დონის უწყება; მისი მანდატი კონვენციასთან დაკავშირებით თანმიმდევრული შიდა პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და კოორდინაციის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს; იმპლემენტაციის ორგანო უნდა იყოს ადეკვატურად უზრუნველყოფილი ტექნიკური პერსონალითა და რესურსებით.⁹ ხოლო კოორდინაციის მექანიზმის

6 საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს 2015 წლის 26 მარტის N24332 წერილი.

7 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების კონფერენცია, მე-7 სესია, ნიუ იორკი, 2014 წლის 1 აპრილი, მრგვალი მაგიდა N2, კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები – ანგარიში, პარ. 4, [http://www.un.org/disabilities/documents/COP/COP7/CRPD.CSP.2014.3.E.pdf]

8 წევრი სახელმწიფოების მე-7 კონფერენცია, 2014 წლის 10 – 13 ივნისი, ნიუ იორკი, აშშ.

9 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების კონფერენცია, მე-7 სესია, ნიუ იორკი, 2014 წლის 1 აპრილი, მრგვალი მაგიდა N2, კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები – ანგარიში, პარ. 11, [http://www.un.org/disabilities/documents/COP/COP7/CRPD.CSP.2014.3.E.pdf]

მთავარ ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული პროცესების ფასილიტაცია სხვადასხვა სექტორსა და დონეზე. მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამთავრობო უწყებებს შორის აქტივობების დუბლირების პრევენციისა და მცირე რესურსების სწორად გადანაწილების მიმართულებით.¹⁰

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის ორგანოდ დასახელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ მინისტრი, ხოლო მის შემადგენლობაში შედიან: 9 სამინისტროს (მინისტრი ან მოადგილე), საქართველოს პარლამენტის 2 და არასამთავრობო ორგანიზაციის 10 წარმომადგენელი.¹¹ დებულების მიხედვით საბჭოს ძირითადი ფუნქცია შეზღუდული შესაძლებლობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაციაა.¹² ხოლო მისი შეკრება უნდა მოხდეს წელიწადში არანაკლებ 4-ჯერ.¹³

საბჭოს შემადგენლობა, ფუნქციები და საქმიანობის რეჟიმი ფორმალურადაც კი ნაკლებად შეესაბამება კონვენციის 33-ე მუხლით იმპლემენტაციის ორგანოსათვის დადგენილ მოთხოვნებსა და წევრი სახელმწიფოების მე-7 კონფერენციაზე მიღწეულ შეთანხმებას. მით უფრო, პრაქტიკაში საბჭო ვერ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას და დებულებით დადგენილი ვალდებულების მიუხედავად, 2015 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა.

სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის ორგანო პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, კონვენციის დანერგვის პროცესი მნიშვნელოვანი შეფერხებით ხორციელდება. აუცილებელია, რომ მთავრობამ სწორად განსაზღვროს კონვენციის განხორციელებისთვის შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩო, მოახდინოს იმპლემენტაციისა და კოორდინაციის ორგანოებს შორის ფუნქციების გადანაწილების რევიზია და მექანიზმების რეალურად ამოქმედება.

1.2. კონვენციის პოპულარიზაციის, დასვინა და იმპლემენტაციის მონიტორინგი ეროვნულ დონეზე

კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის ორგანოდ საქართველოში

10 იქვე, პარაგრაფები 13 და 16.

11 საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბერის დადგენილება №231 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1.

12 იქვე, დანართი 1, მუხლი 2.

13 იქვე, დანართი 1, მუხლი 4, პუნქტი 3.

სახალხო დამცველის აპარატი დასახელდა.¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველი მისთვის დაკისრებულ უფლებამოსილებას განახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნების, „პარიზის პრინციპების“, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიდგომის, წარმატებული ევროპული ქვეყნების გამოცდილების და, რა თქმა უნდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოსაზრებების გათვალისწინებით. მონიტორინგის მექანიზმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტთან ერთად მოიცავს შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს და მონიტორინგის ჯგუფს.

საკონსულტაციო საბჭო წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის სტრატეგიის და პრიორიტეტების განმსაზღვრელ სათათბირო ორგანოს, რომელიც შედგება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. საბჭოს შემადგენლობა და დებულება დამტკიცებულია საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით.¹⁵ 2015 წლის ივლისის შემდგომ საბჭო 3-ჯერ შეიკრიბა. სხდომებზე განიხილეს კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მიმდინარეობა და შეჯერდნენ სამომავლოდ განსახორციელებელ აქტივობებზე, შემუშავდა 2016–2017 წლების სამოქმედო გეგმა.

მონიტორინგისა და თემატური კვლევების განხორციელების მიზნით ღია კონკურსის წესით შეირჩა შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფი, 5 პირის შემადგენლობით, რომელიც 2016 წლის განმავლობაში განახორციელებს კვლევებსა და მონიტორინგს, საკონსულტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად.

1.3. კონვენციის ფაქულტატიური ოქმის რატიფიკაციის პრობლემა

როგორც ცნობილია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიკირება საქართველოს პარლამენტმა მისი ფაქულტატიური ოქმის გარეშე მოახდინა, რის გამოც, ვერ ხერხდება დაინტერესებული პირების მიერ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კომიტეტისთვის უფლებადარღვევის ფაქტებზე ინდივიდუალური მიმართვის მექანიზმის გამოყენება.

14 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს სხდომის ოქმი N2, 2014 წლის 27 ოქტომბერი.

15 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 21 ივლისის N186 ბრძანება.

ხელისუფლების მიერ გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირების მიზნით კონკრეტული ღონისძიებები ამ დრომდე არ განხორციელებულა.

„2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-7 მუხლის „ბ“ პუნქტით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე დაევალა უმოკლეს ვადაში წარედგინა პარლამენტისთვის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირებისათვის საჭირო ღონისძიებების ნუსხა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2015 წლის 12 ოქტომბერს წერილით (N09-2/8319) მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. სამინისტროს საპასუხო კორესპონდენციით¹⁶ მოგვეწოდა 2014 წლის 1 აგვისტოს დადგენილებით მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისთვის გაგზავნილი წერილის (N01/7163-03.02.2015) ასლი, რომელსაც უწყება მიიჩნევს ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირებისათვის საჭირო ღონისძიებების ნუსხის წარდგენად საქართველოს პარლამენტისთვის. წერილის მიხედვით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ „ოქმის რატიფიცირებამდე განხორციელდეს მონიტორინგის განმახორციელებელი ეროვნული სტრუქტურის და მექანიზმის ჩამოყალიბება; გაეროს შესაბამისი კომიტეტისთვის ქვეყნის პირველი ანგარიშის წარდგენა და რეკომენდაციების მიღება; ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზება და ამის შემდგომ, ოქმის რატიფიცირების მიზანშეწონილობის შესახებ სახელმწიფო უწყებების მიერ დასკვნების მომზადება.“¹⁷

შემდგომი პროცესების თაობაზე დამატებითი ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს სამინისტროსგან არ ეცნობა. შესაბამისად, ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირებასთან დაკავშირებით ვითარების გარკვევის მიზნით, რამდენიმე წერილი¹⁸ გაეგზავნა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს. პასუხად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწის 2015 წლის 3 თებერვლის N3673 კორესპონდენციით გვეცნობა:

„ვინაიდან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის სრული იმპლემენტაციისა და საქართველოს კანონმდე-

16 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 23 ოქტომბრის N12673/15 წერილი.
17 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 3 თებერვლის N01/7163 წერილი.
18 2015 წლის 2 ნოემბრის N09-2/8979 წერილი; 205 წლის 1 დეკემბრის N09-2/9814 წერილი; 2016 წლის 13 იანვრის N09-2/362 წერილი.

ბლობის ჰარმონიზაციისთვის საჭიროა გარკვეული დროის პერიოდი და ამ დრომდე შესრულებული ღონისძიებები არის მხოლოდ ნაწილი იმ ვალდებულებებისა, რაც სახელმწიფომ იკისრა შესასრულებლად. ამავდროულად მნიშვნელოვანია ქვეყნის პირველი ანგარიშის განხილვის საფუძველზე მიღებული რეკომენდაციების შინაარსი და მათ შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები, გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე არ არის დანყებული კონვენციის ფაკულტატიურ ოქმთან მიერთების შესაბამისი პროცედურები.“

მივიჩნევთ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დასახელებული პროცედურების განხორციელება არ შეიძლება ჩაითვალოს ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირების წინაპირობად. ქვეყნების უდიდესმა უმრავლესობამ ოქმის რატიფიცირება მოახდინა კონვენციასთან ერთად. კერძოდ, ფაკულტატიურ ოქმზე მიერთების სურვილის მქონე 119 ქვეყნიდან 86 სახელმწიფოს უკვე რატიფიცირებული აქვს დოკუმენტი, ხოლო 74 ქვეყანამ (მათ შორის: საფრანგეთი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, ბელგია, შვედეთი, ესტონეთი, იტალია, უნგრეთი, ესპანეთი, უკრაინა) ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება მოახდინა კონვენციასთან ერთად.¹⁹

შესაბამისად, ვასკვნით, რომ სახელმწიფო თავს არიდებს ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების აღებას, მათ შორის, ინდივიდუალური გასაჩივრების მექანიზმის ამოქმედებას.

სახალხო დამცველმა ვერცერთი სახელმწიფო უწყებიდან ვერ მიიღო დამაჯერებელი არგუმენტი თუ დასაბუთება ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირების მიმართულებით არსებული გამოწვევების თაობაზე. უფრო მეტიც, ამ დრომდე ბუნდოვანი რჩება ხელისუფლების რომელ ორგანოშია შეჩერებული ფაკულტატიური ოქმის საკითხი და რატომ არ მიმდინარეობს მისი რატიფიცირებისთვის საჭირო წინარე პროცესები, რაც დამატებით კითხვის ნიშნებს ბადებს უახლოეს მომავალში საკითხის დადებითად გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

¹⁹ იხილეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური ვებგვერდი: [<https://www.un.org/development/desa/disabilities/convention-on-the-rights-of-persons-with-disabilities.html>]

2. მისანვდომობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების თვალსაზრისით ერთ-ერთ არსებით საკითხს წარმოადგენს მისანვდომობის პრაქტიკული იმპლემენტაციის უზრუნველყოფა.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ შესახებ გაერთიანებული ერების 2006 წლის კონვენციით (UN CRPD) აღიარებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული გარემოს, ჯანდაცვისა და განათლების, ასევე ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისანვდომობის მნიშვნელობა.

კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ ყველა შესაბამის ზომას, რათა კომუნიკაციის, ინფორმაციის, სატრანსპორტო საშუალებების, მონეობილობებისა თუ მომსახურებების მისანვდომობასთან ერთად უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისანვდომობა შენობა-ნაგებობებზე, საცხოვრებლებზე და სამუშაო ადგილებზე. როგორც ქალაქის, ისე სოფლის პირობებში.²⁰

აღნიშნული საკითხი ასახულია ისეთ ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებში როგორცაა: 2014–2015 „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა“ 2014–2015 წლებისთვის²¹ (მე-20 თავი) და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის“²² 2014–2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა.

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 6 იანვარს მიიღო დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მონეობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“²³, რომლის მიზანია თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა. თუმცა ეს უკანასკნელი არ ეხება მისანვდომობის უზრუნველსაყოფად კონვენციით დადგენილ სხვა კომპონენტებს (ფიზიკური გარემო მის ყველა ფორმაში, სერვისები და ინფორმაცია). ამასთან, დოკუმენტს ახასიათებს სხვა ხარვეზებიც. აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილდა „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშშიც.²⁴

მიუხედავად ამისა, შესაბამისი უწყებების მხრიდან ამ დრომდე არ ტარდება სათანადო ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებზე (სატრანსპორტო საშუალებები,

20 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289>

21 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2391005>

22 http://gov.ge/files/381_40157_501181_76200114.pdf

23 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2186893>

24 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf>

საგანმანათლებლო და სამედიცინო დანესებულებები, ბანკები და სხვა) მისან-
ვდომობის უზრუნველსაყოფად.

2.1. სატრანსპორტო საშუალებების და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მისანვდომობა

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სატრანსპორტო საშუალებების და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მისანვდომობა. ამ კუთხით გადამწყვეტილებათა მიღების პროცესში ძირითადად შემთხვევებში არ ხდება აღნიშნულ პირთა ინტერესების და მოთხოვნილებების გათვალისწინება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სხვების თანასწორად ვერ სარგებლობენ როგორც საზოგადოებისთვის განკუთვნილი ავტობუსებით და მიკროავტობუსებით, ისე ფინანსურად ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებით – თბილისის მეტროთი, რის გამოც დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან. სახელმწიფო არ ზრუნავს საკითხის კომპლექსურ გადამწყვეტაზე – არსებული მეტროსადგურების ინფრასტრუქტურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებაზე.

2015 წლის ივლისის თვეში საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ ამავე წლის 28 ივლისიდან სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდმა განაახლა მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ სამშენებლო სამუშაოები. ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის²⁵ თანახმად, პროექტის ფარგლებში იგეგმებოდა ახალი მეტროსადგურის ამოქმედება ვაჟა-ფშაველას გამზირიდან მეტროსადგურ „უნივერსიტეტამდე“. ამასთან, მშენებლობის ფარგლებში გათვალისწინებული იყო არსებული გვირაბების რესტავრაცია, სადგურის მიწისქვეშა და მიწისზედა შენობების, მეტროდან ამოსასვლელების, სალიანდაგო ხაზების, ესკალატორების და სხვა ობიექტების მოწყობა.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2015 წლის 29 ივლისს ოფიციალურად²⁶ გამოითხოვა ინფორმაცია ზემოთ დასახელებული მეტროსადგურის მშენებლობის პროექტით ობიექტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისანვდომობის და „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპების გათვალისწინების თაობაზე.

მიღებული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის პროცესში ხელისუფლება არ გეგმავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებას. აღნიშნულის ძირითად მიზეზად საბჭოთა პერიოდის ნორმების შესაბამისად უკვე აშენებული გვირაბების და სხვა ნაგებობების კონსტრუქციისა და გეომეტრიული პარამეტრების შეცვლასთან დაკავშირებული პრობლემები სახელდება. ცხადია მოცემული გადამწყვეტილება ამ პირთა უფლებების დარღვევასთან ერ-

25 <http://www.mdf.org.ge/?sitelang=ka&site-path=news/&id=1173>

26 კორესპონდენცია N09-1/6131.

თად, სამომავლოდ გამოიწვევს დამატებითი რესურსის ხარჯვას ახალი მეტროსადგურის ინფრასტრუქტურის ადაპტირებისთვის.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, მისი დებულებების შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ნებისმიერი, განსაკუთრებით კი, ახალი/განახლებული შენობა-ნაგებობის, ტრანსპორტისა თუ კომუნიკაციის მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის „უნივერსალური დიზაინის“²⁷ პრინციპების მაქსიმალური გამოყენებით. შესაბამისად, დასახლებული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საერთაშორისო ხელშეკრულების პირობების დარღვევას, ადამიანის ძირითადი უფლებების უგულვებელყოფას და ვერ გამართლდება ტექნიკურ ან/და ფინანსურ პრობლემებზე მითითებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის 28 ოქტომბერს, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით²⁸ მიმართა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის პროექტით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების და „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპის გათვალისწინების თაობაზე, რათა მეტროსადგურის ყველა კომპონენტი (მინისქვეშა და მინისზედა შენობები, მეტროდან ამოსასვლელები, ესკალატორები და სხვ.) მისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

2.1.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სატრანსპორტო საშუალებების და საგზაო ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალურ დონეზე

მისაწვდომობის უფლებასთან მიმართებით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, თუ როგორ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სატრანსპორტო საშუალებების და საგზაო ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულების მიერ.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის²⁹ თანახმად, სწორედ მათ უფლებამოსილებას განეკუთვნება როგორც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება, ისე მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და შესაბამისი წესების რეგულირება.

27 პროდუქტის, გარემოს, პროგრამების და მომსახურების იმგვარი დიზაინი, ფორმა, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ყველა პირმა მაქსიმალურად მისაწვდომ პირობებში, ადაპტაციის საჭიროების ან სპეციალური დიზაინის გარეშე. „უნივერსალური დიზაინი“ არ უნდა გამოირიცხავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარკვეული ჯგუფისთვის დამხმარე დანადგარებს, როდესაც ამის საჭიროება არსებობს.

28 <https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUOVA5eFVSMOZRcGs/view>

29 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429>

ამ კუთხით მუნიციპალიტეტების ვალდებულებები განერილია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის“ 2014–2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით,³⁰ რომლის თანახმად, დასახელებულმა სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ როგორც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის (გაჩერებები, გადასასვლელები, გზა-ჯვარედინები და შუქნიშნები) ადაპტირება დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება ახალი საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების შექმნისას. მათვე ეკისრებათ ამ პირთათვის სპეციალური ადგილების გამოყოფა ავტოსადგომებზე და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლების ინფორმირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების საკითხებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციით, შიდა კანონმდებლობით და სამთავრობო–სამოქმედო გეგმებით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის მიერ, 2015 წლის განმავლობაში, გარკვეული პერიოდულობით გამოთხოვილი იყო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის იმ ორგანოებიდან, რომლებიც წარმოადგენენ როგორც რაიონულ ცენტრებს, ისე თვითმმართველ ქალაქებს (ამბროლაური, ახალციხე, გორი, ზუგდიდი, თელავი, მცხეთა, ოზურგეთი, თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, რუსთავი). მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი იყო მონაცემები: 2015 წლის ბიუჯეტში სატრანსპორტო საშუალებათა და ინფრასტრუქტურის ადაპტირების გათვალისწინებასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული სატრანსპორტო საშუალებების შექმნასთან, აღნიშნულ პირთათვის ავტოსადგომებზე სპეციალური ადგილების გამოყოფასთან, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლების ინფორმირებასთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების საკითხებზე, ზემოაღნიშნულ აქტივობებსა და ღონისძიებების ჩატარების გათვალისწინებასთან დაკავშირებით 2016 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან ადგილი ჰქონდა ინფორმაციის დაგვიანებით მონოდებას. რიგ შემთხვევებში პასუხებში მოცემული ინფორმაცია იყო არასრული (თელავის მუნიციპალიტეტის მერია, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია) და არარელევანტური.

ხშირ შემთხვევებში მუნიციპალიტეტები არ ფლობენ საზოგადოებრივ სატრანსპორტო საშუალებებს. მომსახურების ლიცენზია აქვთ კერძო კომპანიებს, რომლებიც მოსახლეობას ემსახურებიან თავიანთი კუთვნილი ტრანსპორტით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 ბიუჯეტის³¹ პრიორიტეტები-სა და პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული იყო საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმონყოფასთან დაკავშირებით გარკვეული ღონისძიებები.

30 http://gov.ge/files/381_40157_501181_76200114.pdf

31 <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2615414>

თუმცა, ბიუჯეტის ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ისევე როგორც საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული პროგრამების ფარგლებში, ცალსახად არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები და ინტერესები.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული ინფორმაციის³² თანახმად, 2015 წელს მოენყო პანდუსები გარკვეულ ობიექტებზე (სულ 6 ადგილი³³). ამასთან, ქალაქის ავტოსადგომებზე³⁴ სპეციალური ადგილები გამოიყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. მსგავსი ღონისძიებები განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტის მერიაშიც³⁵ (2015 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა მოხდა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შესაბამისად მოენყო 8 ობიექტი).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული ინფორმაცია³⁶ ცხადყოფს, რომ ქალაქის 2015 წლის ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კი კვლავ გადაუჭრელი რჩება საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების შეძენისა და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირების საკითხი, რაც გამომწვეულია სოფლებში მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობით.³⁷

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, ისევე როგორც სხვა თვითმმართველ ერთეულებში, ინფრასტრუქტურულ ნაწილთან მიმართებით განხორციელებული აქტივობები ძირითადად მოიცავს პანდუსების განთავსებას ტროტუარებზე.³⁸ მუნიციპალურ დონეზე არ შესრულებულა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამთავრობო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება სატრანსპორტო საშუალებათა ადაპტირებას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მონოღებული ინფორმაციით³⁹, სამოქმედო ტერიტორიაზე (28 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში) არსებული გაჩერებები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ამასთან, მუნიციპალურ სატრანსპორტო საშუალებებზე მომუშავე მძღოლები ინფორმირებულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების საკითხებზე, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც ფუნქციონირებს კერძო ტრანსპორტი, მძღოლების გადამზადება იგეგმება 2016 წლისთვის. მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში⁴⁰, ისევე, როგორც

32 კორესპონდენცია N 2156/05-29.12.2015.

33 ცენტრალური პარკი, მიქუტიშვილის, 9 აპრილის, კოსტავას ქუჩა.

34 9 აპრილის, ნათენაძის და კოსტავას ქუჩა.

35 კორესპონდენციები N788-07.04.2015; №12-05.01.2016.

36 კორესპონდენცია №943-08.06.2015.

37 კორესპონდენცია №2290-14.04.2015.

38 კორესპონდენცია N 01-47-12.01.2016.

39 კორესპონდენცია N 29-08.04.2015.

40 გამომდინარე იქიდან, რომ გამგეობის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს სოფლისა და დაბის ტერიტორიულ ერთეულებს, მონოღებული ინფორმაციით სპეციალურადგომების გამოყოფა საჭიროებას არ წარმოადგენს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიაზე, შეზღუდული შესაძლებლობის პირებს არ ექმნებათ დაბრკოლებები საგზაო ინფრასტრუქტურით სარგებლობის დროს. შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულები არ მიიჩნევენ საჭიროდ მათთვის სპეციალური ადგილების გამოყოფას.

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ 2015 წლის აპრილის თვეში მონოდებული ინფორმაციის თანახმად,⁴¹ მიმდინარეობდა იაპონური არასაპროექტო გრანტის დამტკიცების პროცედურები, რომელიც ითვალისწინებდა თბილისის ტერიტორიაზე ჰიბრიდული ავტობუსების შემოყვანას. მერია შესაძენი ავტობუსების ტექნიკურ მონაცემებთან დაკავშირებით იტყობინებოდა, რომ ისინი მორგებული იქნებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე. მიუხედავად აღნიშნულისა, დედაქალაქში ამ დროისთვის ჰიბრიდული ტიპის ავტობუსები შემოყვანილი არ არის. მერიის მიერ მონოდებული ინფორმაციით⁴², ამ ეტაპზე იაპონიის მთავრობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ამასთან, თბილისის მუნიციპალიტეტის მერია აპირებდა დედაქალაქში ახალი, თანამედროვე M3 კატეგორიის ავტობუსების შემოყვანას, რომლებიც ადაპტირებული უნდა ყოფილიყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. მიუხედავად ამისა, ბოლოდროინდელი მონაცემებით, დედაქალაქში დასახელებული ავტობუსების შემოყვანა არ განხორციელებულა.⁴³ რაც შეეხება ამჟამად მოქმედი ავტობუსის გაჩერებების შესწავლას და მათი კეთილმონყოფის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს, ამ ეტაპზე კონკრეტული ღონისძიებები განხორციელებული არ არის. ამასთან, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარეობდა ჭავჭავაძის გამზირის მხრიდან ვაკის პარკში ჩასასვლელი სპეციალური ლიფტის მონტაჟი და პარკის ტერიტორიაზე სპეციალური პანდუსების განთავსება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილების გაადვილების მიზნით. კერძოდ, სპეციალური ლიფტები დამონტაჟდა ვაკის პარკის მოპირდაპირე მხარეს და ოპერის წინ არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში. თუმცა, დასახელებული ობიექტები (ლიფტი) ამ ეტაპზე (დეკემბრის თვის მდგომარეობით) არ ფუნქციონირებს. მერიიდან მიღებული წერილით⁴⁴ ირკვევა, რომ აღნიშნული ლიფტების ექსპლუატაციისა და სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ამჟამად მიმდინარეობს მათი მოვლა-პატრონობაში გადაცემის პროცედურები.

ქუთაისის მერიიდან მიღებული ინფორმაციით,⁴⁵ მუნიციპალიტეტს არ აქვს საკუთარი მუნიციპალური საავტობუსო სისტემა და ვერ ხერხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული ავტობუსების შექმნა, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათ შემუშავებული აქვთ

41 კორესპონდენციები №1-03/499- 01.04.2015; №06/15091438-17- 08.04.2015.

42 კორესპონდენცია №12/8367-18.01.2016.

43 მონოდებული ინფორმაციით, ამჟამად „EBRD“-ის დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა ახალი ავტობუსების შესყიდვაზე რა დროსაც გათვალისწინებული იქნება როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები, ისე აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებებზე მომუშავე მძღოლების ინფორმირება.

44 კორესპონდენცია №18/441-04.01.2016.

45 კორესპონდენციები №01-1790- 06.04.2015; N 01/267-11.01.2015.

კონცეფცია.⁴⁶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავტოსადგომებზე გამოყოფილია 179 ადგილი. რაც შეეხება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლების ინფორმირებას, აღნიშნული ტრენინგის სახით განხორციელდა 2015 წლის 29 დეკემბერს. 2016 წლისთვის, ადგილობრივი ბიუჯეტით, სხვა ღონისძიებებთან ერთად გათვალისწინებულია ხმოვანი შუქნიშნების მონტაჟი ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე.⁴⁷

ბათუმის მერიაში 2015 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელდა სამუშაოები⁴⁸ რამდენიმე ქუჩაზე.⁴⁹ მერია 2016 წლისთვისაც გეგმავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებას.⁵⁰ მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ცალკეულ ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებათა გამო სატრანსპორტო საშუალებებზე თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან არ ხდება დროული და ეფექტური ღონისძიებების გატარება.

მუნიციპალიტეტთა გარკვეული ნაწილის 2015 წლის ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და იგი არც 2016 წლისთვისაა დაგეგმილი (თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა). დასახელებული მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, ფოთის მერია აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას 2016 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრის დროს გეგმავს. ამ მხრივ, აღსანიშნავია ბათუმის მერიის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ავტობუსების შეყვანის ინიციატივა, რომლებიც იქნება ადაპტირებული და ამავედროულად ეკოლოგიური.

უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში, თვითმმართველი ერთეულების 2016 წლის ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული არც ინფრასტრუქტურული სამუშაოების და არც სატრანსპორტო საშუალებების ადაპტირება/შეძენა (ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია, თელავის მუნიციპალიტეტის მერია).

მისასალმებელია რუსთავის მერიის მიერ გამოთქმული მზადყოფნა,⁵¹ მუნიციპალური ავტოტრანსპორტის პარკის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებებით განახლებასთან დაკავშირებით.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიაზე სპეციალური ადგილების გამოყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და პარკირების ადგილების მონიშვნა. რამდენიმე მუ-

46 კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ საავტობუსო ხაზებთან დაკავშირებით არ იქნება კერძო ინვესტორის დაინტერესება, მაშინ შეიქმნება მუნიციპალური საწარმო, ავტოპარკის განახლების მიზნით.

47 მათ შორის ქალაქის ცენტრში, ფალიაშვილის ქუჩაზე.

48 მათ შორის 4 ინფრასტრუქტურულ მონაკვეთზე მოხდა უსინათლო პირთათვის დეკორატიული ფილების განთავსება.

49 კორესპონდენცია N 25/11066-08.06.2015.

50 დაგეგმილია 21 ქუჩის კეთილმოწყობა.

51 კორესპონდენცია N 02/304-06.04.2015.

ნიციპალიტეტი (გორის მუნიციპალიტეტის მერია, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2016 წლისთვისაც გეგმავს ავტოსადგომებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სპეციალური ადგილების გამოყოფას.

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე გამონაკლისების გარდა (გორის მუნიციპალიტეტის მერია) მუნიციპალიტეტებში არ დაწყებულა ახალი სამშენებლო ნორმების განხორციელებაზე ზედამხედველობა.

უარყოფითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ გამონაკლისების გარდა (მაგ. ქუთაისის მერია) მუნიციპალიტეტების მასშტაბით ჯერ კიდევ არ განხორციელებულა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლების გადამზადება.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ გარკვეული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ გამონკვევად რჩება სატრანსპორტო საშუალებებზე და საგზაო ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი მისაწვდომობის უფლების რეალიზება.

2.2. ალსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობაზე ზრუნვა შეუძლებელია ამ პროცესში შესაბამისი ალსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმების არსებობის გარეშე.

საქართველოს სახალხო დამცველმა, კანონმდებლობის საფუძველზე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ჯერ კიდევ 2013 წელს მიმართა რეკომენდაციით⁵² საქართველოს მთავრობას, რათა მას განხორციელებინა შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულაციების რევიზია, დახვეწა და განახლება, რითაც შესაძლებელი გახდებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ყველა სფეროში შესაბამისი ზომების გატარება აღნიშნულ პირთათვის ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობის კუთხით, როგორც ქალაქის, ისე სოფლის პირობებში.⁵³

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის“⁵⁴ 2014–2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით დადგენილი ღონისძიებათა ნუსხა სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება–

52 საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია №452/09–30.04.2013.

53 ამასთან, აღნიშნული რეკომენდაცია ითვალისწინებდა შესაბამისი ორგანოების მიერ სხვადასხვა ნორმატიული აქტით დაწესებული რეგულაციების განხორციელების მონიტორინგისა და დაწესებული სანქციების ამოქმედების საჭიროებას.

54 http://gov.ge/files/381_40157_501181_76200114.pdf

მიღებას და ახალი სამშენებლო სტანდარტების აღსრულების ზედამხედველობას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს მიიღო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი“, რომელიც სრულად ვერ პასუხობს რეალურ გამოწვევებს და ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მისაწვდომი გარემოსა და სრულფასოვანი ცხოვრებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას. დოკუმენტის მთავარ ხარვეზს წარმოადგენს მასში მოცემული სტანდარტების აღსრულების მექანიზმის არარსებობა. ამასთან რეგლამენტი არ ადგენს შუალედურ ვადებს ადაპტაციის პროცესის კონტროლისათვის. პრობლემურია მისი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების საკითხიც.

2.2.1. ნაძალადევის შემთხვევა

2015 წლის 13 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა ნაძალადევის რაიონის გამგეობის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდსა და ელექტრონულ მედიაში განთავსებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის გამგეობის ტერიტორიაზე, რამდენიმე საცხოვრებელ კორპუსში დამონტაჟდა პანდუსები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. მედიასივრცეში განთავსებული ფოტომასალიდან ნათლად ჩანდა, რომ ერთ-ერთ მაღალსართულიან საცხოვრებელ კორპუსში დამონტაჟებული კონსტრუქცია არ აკმაყოფილებდა უსაფრთხოების მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფდა პირის დამოუკიდებლად გადაადგილებას.

ზემოთქმულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა 13 აგვისტოს გაავრცელა ოფიციალური განცხადება⁵⁵, რომლითაც მოუწოდა ყველა შესაბამის ორგანოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით გატარებული ნებისმიერი საქმიანობის ფარგლებში მკაცრად დაიცვან საერთაშორისო რეგულაციებით და ეროვნულ კანონმდებლობით, მათ შორის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები.

როგორც ცნობილია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის⁵⁶ მე-16 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას განეკუთვნება: ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა. ამასთან, მის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა და ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში.

55 <http://www.ombudsman.ge/specializirebuli-centrebi/shshm-pirebis-uffebata-dacvis-departamenti/siaxleebi-ssm/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-nadzaladevis-raionshi-pandusebis-damon>

56 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429>

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის“ მე-12 მუხლის შესაბამისად, დაიწყო საქმის⁵⁷ შესწავლა საკუთარი ინიციატივით და ოფიციალურად გამოითხოვა ინფორმაცია შემდეგი უწყებებიდან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერია,⁵⁸ ნაძალადევის რაიონის გამგეობა⁵⁹ და ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია.“⁶⁰

გამოთხოვილი ინფორმაცია ეხებოდა: მითითებულ საცხოვრებელ კორპუსებში განთავსებული კონსტრუქციების შესაბამისობას საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელს დამტკიცებული სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან, პანდუსების დამონტაჟებამდე განხორციელებულ შესწავლას/გადაწყვეტილების მიღებას და პროექტთან დაკავშირებული დეტალების შეთანხმებას შესაბამის სამსახურთან. ამასთან, თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელებულ ზედამხედველობას და საქმეზე განხორციელებულ რეაგირებას. გამოთხოვილ იქნა შესაბამისი სამართლებრივი აქტები, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნა.

თბილისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია⁶¹ ადასტურებს, რომ N41 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინება უნდა მომხდარიყო სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების ეტაპზე (იგულისხმება ინფრასტრუქტურული ნაწილი). საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მითითებული პანდუსების მონტაჟის სამუშაოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით⁶² დამტკიცებული წესის⁶³ შესაბამისად. ადმინისტრაციული წარმოების საფუძველი კი იყო ამხანაგობის თავმჯდომარეების მიერ წარდგენილი განცხადება, რომელიც რეგისტრაციის შემდგომ გადაეგზავნა თბილისის მერიის მიერ განსაზღვრულ საექსპერტო ორგანიზაციას – ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიას“. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 17 დეკემბრის განკარგულების და ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ წესდების მე-3 პუნქტის შესაბამისად,⁶⁴ მის კომპეტენციას განეკუთვნება შესასრულებელი სამუშაოების ექსპერტიზა, როგორც ტექნიკური, ასევე განფასების კუთხით. კერძოდ, სამუშაოების ხარჯთაღრიცხვების, დეფექტური აქტების, საპროექტო დოკუმენტაციის შემოწმება და მიმდინარე სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა. გამგეობის წერილის⁶⁵ თანახმად პროექტი არ იყო შეთანხმებული სფეროს ექსპერტებთან, რადგან აღნიშნული ორგანიზაცია ექსპერტიზას ახორციელებს ყველა სახის სამუშაოზე.

57 საქმე N9534/15.

58 კორესპონდენცია N 09-2/6714-14.08.2015.

59 კორესპონდენცია N 09-2/8121-06.10.2015.

60 კორესპონდენცია N09-2/8120-06.10.2015.

61 კორესპონდენცია №10-17/8946-13.10.2015.

62 2014 წლის 30 დეკემბერი №20-110.

63 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2669640> მე-2, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლები.

64 http://tbilisi.gov.ge/public-info-files/files/g_files/20.12.277_142287896798_tbilisi.gov.ge.pdf განკარგულება N 20.12.277.

65 კორესპონდენცია 06/1523087-46-26.08.2015.

გამგეობიდან მიღებული ინფორმაციით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განცხადებით მოთხოვნილი სამუშაოების დაფინანსების თაობაზე გად-
ანყვეტილების მიღება განხორციელდა ზემოთ დასახელებული დანესე-
ბულების მიერ დოკუმენტაციის შემოწმებისა და დადებითი დასკვნის გაცემის
შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ გამგეობიდან და ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური
ლაბორატორიიდან“ მიღებულ წერილებში მოცემული ინფორმაცია ურთ-
იერთგამომრიცხავია. კერძოდ, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორა-
ტორიის“ განცხადებით, ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების
გათვალისწინება ვერ მოხდებოდა, რადგან მათთვის პროექტი არ წარუდგენი-
ათ. შესაბამისად, ორგანიზაციას საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზა
არ ჩაუტარებია და მხოლოდ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვების კამერალურად
შესწავლა უზრუნველყო (მათ მიერ მოხდა ერთეულ სამუშაოზე ხელფასისა და
მასალის ხარჯვის კორექტირება).⁶⁶

2015 წლის 26 აგვისტოს, თბილისის მერმა, შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრა-
ზე (რომელსაც ესწრებოდა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი)
განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ხორ-
ციელდებოდა მოკვლევა და მომზადდებოდა შესაბამისი დასკვნა. გარდა ამი-
სა, თბილისის მერია 2 კვირის ვადაში გეგმავდა შიდა აქტის მომზადებას, რომ-
ლითაც „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სივრცის მონყოების
ტექნიკური რეგლამენტის“ ნორმების აღსრულებასთან დაკავშირებით უწყე-
ბრივად გადანაწილდებოდა პასუხისმგებლობები.

მიუხედავად ამისა, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან 2015 წლის 3 დე-
კემბერს მიღებული ინფორმაციით,⁶⁷ მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის
საქალაქო სამსახურში აღნიშნული საკითხის შესწავლა არ დასრულებულა და
არც შესაბამისი რეგულაციები იყო შემუშავებული.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ თვითმმართველ დონეზე არ არ-
სებობს მისაწვდომობის სტანდარტების აღსრულებისა და მონიტორინგის
გამართული, ეფექტური მექანიზმი.

2.3. ინფორმაციის მისაწვდომობა

ნებისმიერ ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლების და მისაწვდომობის კუთხ-
ით არსებული კანონმდებლობა და კანონით დადგენილ ნორმათა სათანადოდ
შესრულება სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხის განმსაზღვრელ
ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოში ეროვნული
კანონმდებლობის დონეზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

66 კორესპონდენცია N03/1712-13.10.2015.

67 კორესპონდენცია N7/69932-03.12.2015.

ინფორმაციის და კომუნიკაციის მისაწვდომობის კუთხით მწირია მარეგულირებელი ნორმების რაოდენობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები კვლავ აწყდებიან დაბრკოლებებს ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის უფლების რეალიზების პროცესში. მათთვის არ არის მისაწვდომი საინფორმაციო, გასართობი და სხვადასხვა სახის სატელევიზიო პროგრამები, ფილმები. სამაუწყებლო კომპანიების დიდი ნაწილი არ იყენებს ადაპტირებულ საკომუნიკაციო ტერმინალურ მოწყობილობებს, სისტემებს და მეთოდებს.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის 21-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა სათანადო ზომა, რათა სხვებთან თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ აზრისა და შეხედულების გამოხატვის, ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღებისა და გადაცემის თავისუფლება. აღნიშნული უფლების განხორციელება უნდა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების მიხედვით შერჩეული კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების,⁶⁸ მეთოდების და კომუნიკაციის მისაწვდომი ტექნოლოგიების გამოყენებით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოთა მიერ შესტური ენის აღიარებისა და გამოყენების ხელშეწყობაზე.⁶⁹

მისაწვდომობის უფლებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია კონვენციის მე-9 მუხლი, რომელიც ადგენს მისაწვდომობის ზოგად სტანდარტს. აღნიშნული მუხლის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, მისაწვდომობა არ მოიცავს მხოლოდ ფიზიკური გარემოსა და ტრანსპორტის მისაწვდომობას, მასში ასევე იგულისხმება ინფორმაციისა და კომუნიკაციის, ტექნოლოგიური სისტემების, სხვა მოწყობილობებისა და მომსახურებების მისაწვდომობის ვალდებულებების დაცვა.⁷⁰

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, ჯერ კიდევ 2013 წელს, ინფორმაციის თავისუფლებასა და მისაწვდომობასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის ფარგლებში ნათლად გამოიკვეთა ამ კუთხით ქვეყანაში არსებული პრობლემები. მათი მოგვარების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ საგანმანათლებლო, შემეცნებით, საინფორმაციო და გასართობ გადაცემებზე მისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაციით⁷¹ მიმართა ტელე და რადიოკომპანიებს. ამასთან, ყურადღება გამახვილდა საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს შესტური ენის აქტიურად გამოყენების საკითხზე.

68 მათ შორის აფიშირებული ტექსტის, ბრაილის შრიფტის, ტაქტილური კომუნიკაციის, მსხვილი შრიფტის, მისაწვდომი მულტიმედიის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციის საშუალებებით.

69 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის 21-ე მუხლის ე) პუნქტი.

70 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-9 მუხლის ბ) პუნქტი.

71 „ინფორმაციის თავისუფლება და ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“ 2013 წ. გვერდი 38.

ინფორმაციის მისაწვდომობის უფლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება⁷², რომლის ხელმოწერით საქართველოს მთავრობამ სატელეკომუნიკაციო სფეროში განსაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება და აიღო ვალდებულება, რომ ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა ეტაპობრივად სრულ შესაბამისობაში მოვიდეს ევროკავშირის ფარგლებში არსებულ რეგულაციებთან. მათ შორის მნიშვნელოვანია 2010 წლის 10 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს №2010/13/EU16 დირექტივა⁷³ აუდიოვიზუალური მედიის მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობის კონკრეტულ დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის №59 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის“⁷⁴ მიხედვით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად განსაზღვრულია შესაბამის პასუხისმგებელ უწყებად.

2014 წლის 20 იანვარს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2014–2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა⁷⁵, რომელშიც განერილია სახელმწიფო უწყებების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. მათ შორის დადგენილია აზრისა და შეხედულებების გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის მისაწვდომობის მიზნით გასატარებელი აქტივობების ნუსხა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, 2015 წლის პირველ ნახევარში, სამთავრობო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით, გამოთხოვილი იყო ინფორმაცია შესაბამისი უწყებებიდან, მათ შორის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან⁷⁶ - ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ელექტრონული სერვისების საჭიროებებისა და მათი განვითარების შესაძლებლობების შესწავლასთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სურდოთარგმანის, სუბტიტრების, ბრაილის შრიფტის, გამაძლიერებელი და სხვა სპეციალური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებასთან, ადაპტირებული საკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობებისა და სისტემების დანერგვის, წარმოებისა და გავრცელების მიზნით მარეგულირებელი ნორმების შემუშავებასთან და, ზემოთ დასახელებული საშუალებების გამოყენებით, სატელევიზიო პროგრამების, ფილმების, თეატრისა თუ სხვა კულტურულ აქტივობათა ფორმატის მისაწვდომობასთან დაკავშირებით.

72 <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>

73 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:32002L0022>

74 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2702520>

75 http://gov.ge/files/381_40157_501181_76200114.pdf

76 კორესპონდენციები N09–2/2587–06.04.2015; N09–2/4544–05.06.2015.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით⁷⁷, საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, კომისიაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი აუდიოვიზუალური მედიის მომსახურების საკითხებზე, რაც მოიცავს აუდიოვიზუალური მომსახურების მისანვდომობის უზრუნველყოფას მხედველობისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირებისთვის. შესაბამისი საკანონმდებლო შესწორებების პროექტის მომზადება იგეგმებოდა 2015 წლის პირველ დეკემბრამდე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ სფეროში არ განხორციელებულა ქმედითი და შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებები. უწყებამ ასევე გვაცნობს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაში მონაწილეობის შესახებ, თუმცა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების⁷⁸ საფუძველზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და არჩევნების/რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გასულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ გადაცემებში მხოლოდ სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების გათვალისწინება (სურდოთარგმანის უზრუნველყოფა), არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარის ღონისძიებად. კანონმდებლობით სხვადასხვა პროცესებზე თანაბარი ინფორმაციული წვდომის შესაძლებლობა უნდა იყოს დადგენილი ყველა სახის (მათ შორის მხედველობის) შეზღუდვის მქონე პირისთვის.

კომისიიდან მიღებული წერილით,⁷⁹ რომელიც შეიცავს ქართული სამაუწყებლო კომპანიების (49 მაუწყებელი, მათ შორის რეგიონული) მიერ მიწოდებული ინფორმაციას, ირკვევა, რომ კომპანიების უმეტესობა არ იყენებს კომუნიკაციების გამაძლიერებელ სპეციალურ საშუალებებს. გადაცემები არ გადის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირისთვის მისანვდომი ფორმატით.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის 2009 წლის „უნივერსალური მომსახურების“ დირექტივაში⁸⁰ შესული ცვლილებით მოხდა მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებებისა და მარეგულირებლის უფლებამოსილებების განსაზღვრა. კერძოდ, თუ რა უნდა იქნას გათვალისწინებული მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და რა სახის უფლებამოსილება გააჩნია მარეგულირებელს.⁸¹ ევროპარლამენტის მიდგომების თანახმად, მომსახურების მიმწოდებელთა მიერ მხოლოდ ტრაფიკის მართვის, მომსახურების ხარისხის შესაბამისი პარამეტრებისა თუ შეზღუდვების შესახებ მომხმარებლებისთვის მართებული ინფორმაციის მიწოდება, ისევე როგორც მარეგულირებლის მიერ განხორციელებული მომსახურების ხარისხის მონიტორინგი, შესაძლებელია არ აღმოჩნდეს საკმარისი მომხმარებლების უფლებების დასაცავად, რისთვისაც ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს საჭიროების შემთხვევაში უნდა გააჩნდეთ უფლებამოსილება დაუნ-

77 კორესპონდენცია N02/1100-15- 23.06.2015.

78 „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი.

79 კორესპონდენცია N04/1776-15-19.08.2015.

80 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32002L0022>

81 „უნივერსალური მომსახურების“ დირექტივა 22-ე მუხლი.

სონ მომსახურების მიმწოდებელს მომსახურების ხარისხის სავალდებულო მოთხოვნები, რათა საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელების ფარგლებში არსებული მომსახურება და აპლიკაცია მიენოდოთ განსაზღვრული/დადგენილი ხარისხის სტანდარტით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის 26 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით⁸² მიმართა კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, რათა მას შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით მიეღო სათანადო ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სატელევიზიო პროგრამების თუ ფილმების მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მას უნდა შეემუშავებინა სამოქმედო გეგმა, კონკრეტულად განერილი გასატარებელი ღონისძიებების, შესრულების ვადების, პასუხისმგებელი უწყებების, დაფინანსების წყაროსა და შედეგის ინდიკატორების მითითებით.

ზემოთ დასახელებული წინადადების პასუხად, კომისიიდან მიღებულ კორექციონირებაში⁸³ ხდება აპელირება აღნიშნულ პროცესებში სახელმწიფოს როლზე. კერძოდ, „აუდიო-ვიზუალური“ დირექტივის⁸⁴ მე-7 მუხლის მიხედვით, (წევრი) სახელმწიფო ვალდებულია ნაახალისოს აუდიო-ვიზუალური მომსახურების მიმწოდებლები, რათა მათ ეტაპობრივად საკუთარი მომსახურება მისაწვდომი გახადონ მხედველობის და სმენის შეზღუდვის მქონე პირებისთვის.

მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ კომისიამ შეისწავლა ევროპის კავშირის წევრი იმ ქვეყნების პრაქტიკა და ეროვნული კანონმდებლობა, რომლებიც ამ მიმართულებით წამყვან ქვეყნებად მიიჩნევიან. მათ შორის აღსანიშნავია გაერთიანებული სამეფო,⁸⁵ ფინეთის რესპუბლიკა,⁸⁶ საფრანგეთის რესპუბლიკა⁸⁷ და ირლანდია.⁸⁸

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც კანონით უზრუნველყოფილია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სპეციალური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის აუდიოვიზუალური გადაცემების ადაპტირება, ერთის მხრივ, პროცესის მართვასა და მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული მარეგულირებელი ორგანო, მეორეს მხრივ კი კანონი ავალდებულებს მაუწყებლებს გადაადგან კონკრეტული ნაბიჯები, რათა ხელი შეუწყონ ამ პირთა მიერ

82 <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/winadadeba-komunikaciebis-erovnul-komisiias-shezguduli-sheadzleblobis-mqone-pirtatvis-informaciis-misawvdomobis-taobaze.page>

83 №02/2435-15-26.10.2015

84 http://ec.europa.eu/archives/information_society/avpolicy/reg/tvwf/access/index_en.htm

85 კომუნიკაციების აქტი 2003 – ტელევიზიისა და რადიოს მომსახურება, თავი 4, ნაწილი 303. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.legislation.gov.uk/ukpga/2003/21/pdfs/ukpga_20030021_en.pdf

86 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.viestintavirasto.fi/en/tvradio/programmes/audio-subtitlingandsubtitlingservices.html>

87 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=LEGITEXT000006068930&dateTexte=vig#LEGIARTI000028203342>

88 <http://www.irishstatutebook.ie/eli/2009/act/18/section/43/enacted/en/html#sec43>

გადაცემების გაგებას და მისგან სარგებლის მიღებას. კანონით ასევე განსაზღვრულია საშუალებები⁸⁹, რომელთა გამოყენებითაც უნდა მოხდეს გადაცემების ადაპტირება. ამასთან, ადაპტირებული გადაცემების დანერგვის ვადები და რაოდენობრივი ქვოტები⁹⁰ იმ ქვეყნებში, სადაც ცოტაა ან სულ არ არის სახელმწიფო ენაზე შექმნილი აუდიოდეკრიფციის მქონე კონტენტი, კანონი ითვალისწინებს მისი დაფინანსების მექანიზმებს.⁹¹

აღნიშნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო იღებს ნორმატიულ აქტს, რომელშიც მოცემულია ჟესტურ-ენით, სუბტიტრებითა და აუდიოდეკრიფციით (აუდიოკომენტარი)⁹² გადაცემების დამზადების და განთავსების სახელმძღვანელო წესები.⁹³ აქვე უნდა ითქვას, რომ ამგვარი საკანონმდებლო ნორმები ეყრდნობა გარკვეულ კვლევებს და საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მისი წარმატებით განხორციელებისთვის მხოლოდ ჩანაწერი კანონში საკმარისი არ არის. საჭიროა რიგი ტექნიკური, მხატვრული, ლოჯისტიკური და ეკონომიკური საკითხების გადანყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია სატელევიზიო პროგრამების ადაპტირებასთან.

კომისიის ხელთ არსებული ინფორმაციით, სმენის შეზღუდვის მქონე პირთათვის საქართველოში ადაპტირებული მედიაპროდუქტების მინიმალური რაოდენობა არსებობს. რაც შეეხება მცირემხედველ და მხედველობის არმქონე პირებს, მათთვის ადაპტირებული მედიაპროდუქტები ქართულ ტელევიზორში საერთოდ არ ფიქსირდება.⁹⁴ შესაბამისად, ქვეყანაში არსებული მედიაკონტენტის რაოდენობა არ არის საკმარისი სამაუწყებლო პროგრამებში თუნდაც მიზერული კვოტის შესავსებად⁹⁵. გარდა სხვა გამოწვევებისა, იმისათვის, რომ საბოლოო მომხმარებელმა მიიღოს ადაპტირებული აუდიოკომენტარი, აუცილებელია საკითხის ტექნოლოგიური გადანყვეტაც. იგივე შეიძლება ითქვას სმენის სხვადასხვა სახის შეზღუდვის მქონე პირებისთვის საინფორმაციო საშუალებებზე ადაპტირებული წვდომის თაობაზეც, რადგან მათი საჭიროებები განსხვავდება ერთმანეთისგან.

კომისიიდან მიღებული ინფორმაციით გამოიკვეთა მაუწყებლების ინფორმირებულობის პრობლემაც. კერძოდ, კომისიის შეკითხვას, ახორციელებენ თუ არა ტელეკომპანიები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მისაწვდომი ფორმატით გადაცემების ეთერში განთავსებას, 5 ტელეარხი

89 ჟესტების ენა, ტელეტექსტური მომსახურება, სუბტიტრები და აუდიოდეკრიფცია.
90 <http://www.irishstatutebook.ie/ell/2009/act/18/section/43/enacted/en/html#sec43>
91 <http://www.csa.fr/Etudes-et-publications/Les-autres-rapports/Rapport-au-Pariement-relatif-a-l-audiodescription-et-au-sous-titrage-des-programmes-december-2>
92 ამგვარი კომენტარი უზრუნველყოფს ქმედებების, ადგილმდებარეობის, სხეულის ენის, სახის გამომეტყველების და ა.შ აღწერას და მიმდინარეობს დიალოგებს შორის არსებულ შუალედებში.
93 <http://www.bai.ie/index.php/documents/codes-standards/>
94 აუდიოდეკრიფციული მეთოდით ფილმების გახმოვანება საქართველოში პირველად განხორციელდა 2014 წლის დეკემბერში, როდესაც ფონდმა „სიცოცხლის ხე“, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, სპეციალური პროექტი განახორციელა მხედველობის არმქონე და მცირემხედველი ბავშვებისთვის.
95 კომისიას მიჩნია, რომ მედიაომსახურების მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით მაუწყებლებს მოუწევთ აუდიოდეკრიფციის მეთოდით გახმოვანებული მედიაკონტენტის შექმნა ან შექმნა. აღნიშნული კი, მატერიალური რესურსების მობილიზების გარდა, დაკავშირებულია აუდიოკომენტარის ლინგვისტური ნაწილის სტანდარტის შექმნასთან, კვალიფიციური პერსონალის მომზადებასთან და ამ ნაწილში საავტორო უფლებების დარეგულირებასთან.

პასუხობს, რომ თავის ეთერში განთავსებული ფილმების ნაწილს უზრუნველყოფს სუბტიტრები. როგორც ჩანს ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მაუწყებლების დაბალ ცნობიერებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გადაცემების მისაწვდომობის მისაწვდომი ფორმატით მიწოდების სტანდარტების თაობაზე.⁹⁶ რაც შეეხება სურდოთარგმანს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმ პიროვნების კვალიფიკაცია, ვინც შესტების ენაზე წარადგენს ან თარგმნის გადაცემას⁹⁷.

ზემოთ დასახელებული ღონისძიებების განსახორციელებლად და შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებების დასაგეგმად მნიშვნელოვანია სტატისტიკური ინფორმაციის ქონა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობის, მათი საჭიროებების, გეოგრაფიული განაწილების, სოციალური მდგომარეობის, ასაკობრივი კატეგორიების შესახებ.

მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მისაწვდომობის საკითხი კომპლექსურია და პრობლემების იდენტიფიცირებასთან ერთად მოთხოვს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას. სწორედ ამიტომ, როგორც ზემოთ ითქვა, სახალხო დამცველის ერთ-ერთ რეკომენდაციას კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიმართ წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავება.

2015 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების“ სამთავრობო სამოქმედო გეგმით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიისთვის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დროული და ეფექტური უზრუნველყოფის საკითხზე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან კონსულტირება. შეხვედრაზე, რომლის განმავლობაშიც კომისიის მიერ წარმოდგენილ იყო შესწავლილი მასალები, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა სხვადასხვა უწყების ჩართულობით მულტისექტორული ჯგუფის შექმნის, მისი საქმიანობისთვის სტაბილური სახის მიცემისა და სამოქმედო გეგმის უმოკლეს ვადებში შემუშავების საჭიროება. თუმცა, კომისიის მხრიდან 2015 წლის ბოლომდე არ განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ პროცესი შეფერხებულია და ამ ეტაპზე შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ინფორმაციის მისაწვდომი ფორმით მიწოდებას.

96 სუბტიტრების სტანდარტი ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისათვის განსხვავდება იმ სუბტიტრებისგან, რომლებიც სმენის მქონე ადამიანებისთვის არის განკუთვნილი და მათი საჭიროება მხოლოდ უცხო ენის არცოდნის გამო დგას. კერძოდ, საუბრის გარდა არსებობს სხვა ბგერითი ეფექტებიც ე.წ. „off-screen sounds“, რომლებიც მნიშვნელოვანია შინაარსის გასაგებად. სტანდარტები ითვალისწინებს მოთხოვნებს ტექსტის ზომასთან, ფერთან, ფონთან, სიმბოლოების რაოდენობასა და დროის მოთხოვნებთან მიმართებით. აღნიშნული სტანდარტების დაუცველად სმენის შეზღუდვის მქონე ადამიანისათვის სუბტიტრები პრაქტიკულად უსარგებლოა.

97 ამ შემთხვევაში კანონი ან სხვა მარეგულირებელი ნორმა უნდა ავალდებულებდეს მაუწყებლებს პასუხისმგებლობა აიღონ სურდოთარგმანის ხარისხზე.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სათანადოდ დაცვის მიზნით მნიშვნელოვანია მათთან დაკავშირებულ საკითხებზე განწყვეტილების მიღების პროცესში ამ პირებისა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღიარებულია აღნიშნული უფლება, არსებული რეგულაციები სრულად ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაეროს კონვენციის მოთხოვნებს. სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ადამიანებისთვის ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი ამ უფლებით სარგებლობა.

2014 წლის 20 იანვარს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფის 2014–2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“⁹⁸, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა განაწესების მიღების პროცესში ამ პირების ჩართულობა. სამთავრობო გეგმით დადგენილი ღონისძიებები მოიცავს რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნა/ამოქმედებას შშმ პირების ან/და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობით. ამ უკანასკნელის განხორციელებაზე სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი უწყებებია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ფინანსურ წყაროდ დასახელებულია დონორი ორგანიზაციები, ასევე სახელმწიფო (ცენტრალური) და ადგილობრივი ბიუჯეტი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2015 წლის განმავლობაში განხორციელდა აღნიშნული ღონისძიების შესრულების მონიტორინგი. ამ მიზნით ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან ორ ეტაპად მოხდა ინფორმაციის გამოთხოვა. მონიტორინგის მიზნებისა და ინტერესის სფეროს გათვალისწინებით, თვითმმართველი ერთეულებისთვის გაგზავნილი წერილობითი კორესპონდენციებით, გამოვითხოვეთ ინფორმაცია საბჭოების შექმნის, საბჭოს წევრთა რაოდენობის, ჩატარებული სხდომების რაოდენობის, განხილული საკითხების შესახებ ინფორმაცია; მონაცემები საბჭოს მიერ ინიცირებული წინადადებების შესრულების შესახებ, ინფორმაცია საბჭოს დებულებისა და საბჭოს შექმნის თაობაზე მიღებული ადმინისტრაციული აქტების შესახებ.

98 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის დადგენილება #76 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფის 2014–2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.“

3.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოების შექმნის ღონისძიება

ქვეყნის თვითმმართველი ერთეულებიდან პირველ ეტაპზე მიღებული ინფორმაციის თანახმად, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოები შექმნილი იყო მხოლოდ 6 (ექვს) მუნიციპალურ ერთეულში – ჩოხატაურის, გურჯაანის, ლანჩხუთისა და ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტებში, ქალაქების – თბილისისა და ზუგდიდის მერიაში.

მიღებული კორექსონდენციების დიდი ნაწილი (40) საერთოდ არ შეიცავდა ინფორმაციას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კონკრეტული ვალდებულების შესრულების თაობაზე.

მონიტორინგის შემდგომ ეტაპზე, სახალხო დამცველის აპარატის წერილობით მოთხოვნას 75 მუნიციპალიტეტიდან უპასუხა 60 ერთეულმა. მიღებული ინფორმაციის თანახმად ცნობილი გახდა, რომ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოები დამატებით კიდევ 16 თვითმმართველ ერთეულში შეიქმნა. კერძოდ, დმანისის, წალენჯიხის, ბაღდათის, შუახევის, ცაგერის, ხულოს, ახალქალაქის, ოზურგეთის, წყალტუბოს, ნინოწმინდის, ზუგდიდის, ასპინძის, ადიგენის, მუნიციპალიტეტის გამგეობებსა და ქალაქების თელავის, გორისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების მერიაში.

საგარეჯოს გამგეობიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად რეგიონში შეიქმნა მობილური მულტიდისციპლინური გუნდი, რომლის შექმნის თაობაზე ადმინისტრაციული აქტი არ გამოცემულა. როგორც კორექსონდენციაშია მითითებული, გუნდი შეიქმნა გამგებლის ზეპირი ბრძანებით⁹⁹.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან გვაცნობეს¹⁰⁰, რომ 2010 წელს შეიქმნა ქუთაისის მერიის შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭო 20 წევრის შემადგენლობით, თუმცა მიმდინარე ეტაპზე მისი საქმიანობა შეჩერებულია. უნდა ითქვას, რომ მოცემული შემთხვევა ვერ იქნება განხილული 2014–2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით დადგენილი ვალდებულების შესრულებად, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა საბჭო არ ფუნქციონირებს.

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მიღებული ინფორმაციის¹⁰¹ თანახმად, ადგილობრივი საბჭო შეიქმნა ა(ა)იპ „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის“ ბაზაზე. საბჭოს წევრად წარადგინეს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მოხელე. მათივე ინფორმაციით, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

ქარელის თვითმმართველი თემის გამგეობის ინფორმაციით¹⁰², ზემოთ აღნიშნულ ცენტრთან გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებში დაგეგმილია შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი საბჭოს შექმნა.

99 კორექსონდენცია N02/2463–04.12.2015.

100 კორექსონდენცია N01/267–11.01.2016.

101 კორექსონდენცია N4228–01.12.2015.

102 კორექსონდენცია N05/2238–02.12.2015.

ამავე ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ. მათი ინფორმაციით¹⁰³, 2014 წელს შეიქმნა შშმ პირთა საბჭო.

დასახელებული რეგიონებიდან (გორი, კასპი, ქარელი) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ საბჭო შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მიღებული ინფორმაციის¹⁰⁴ თანახმად, საბჭო შექმნილი არ არის. წერილში მითითებულია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანო განთავსებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სხვადასხვა საკითხებზე სამართლებრივი აქტების გამოცემა ხდება მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ხოლო ახალგორის გამგეობა მათ აღსრულებაზე პასუხისმგებელი. რაც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტს, ამ ეტაპზე შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო შექმნილი არ არის¹⁰⁵.

მუნიციპალიტეტების ნაწილმა (მარნეული, სენაკი, აბაშა, სამტრედია, ონი, ახალციხე, გარდაბანი, ხარაგაული, დედოფლისწყარო, ქარელი, თერჯოლა, ლაგოდეხი, ტყიბული, სიღნაღი, ახმეტა, მესტია, ქურთა, ერედვი, ფოთი, ოზურგეთის მერია, თელავის გამგეობა) გვაცნობა, რომ მიმდინარეობს მუშაობა საბჭოების შექმნის მიმართულებით.

2016 წლის თებერვლის მდგომარეობით საბჭოები შექმნილია 22 მუნიციპალიტეტში.

3.1.1. საბჭოების შექმნის საფუძველი და საქმიანობის დინამიკა

რაც შეეხება შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნის საფუძველს, როგორც მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, მათი შექმნა ძირითადად მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული აქტის, კერძოდ, ბრძანების საფუძველზე.

საბჭოების საქმიანობა ხორციელდება თვითმმართველი ერთეულის, როგორც მერიის/გამგეობის, ასევე საკრებულოების მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ საბჭოების ფორმირებისა და მისი დებულების დამტკიცების პროცესი ყველა მუნიციპალიტეტში ერთგვაროვანი არ არის.

საკრებულოს განკარგულებით დამტკიცდა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მოქმედი საბჭოს დებულება¹⁰⁶. ანალოგიური წესით დამტკიცდა ბაღდათის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სამოქმედო დოკუმენტიც¹⁰⁷.

103 კორესპონდენცია N2/2661–30.12.2015.

104 კორესპონდენცია N2–1149–11.12.2015.

105 კორესპონდენცია N2223–30.12.2015.

106 კორესპონდენცია N04–5427–09.12.2015.

107 კორესპონდენცია N41/3651–10.12.2015.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოგვანოდა მხოლოდ ბრძანება საბჭოს შექმნის შესახებ. მათ კორესპონდენციაში¹⁰⁸ აღნიშნულია, რომ დებულების შემუშავების აუცილებლობა არ არსებობს, რადგან ყველა საჭირო დეტალი ბრძანებით არის განსაზღვრული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოების შექმნა ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული აქტის, ბრძანების საფუძველზე მოხდა. რიგ მუნიციპალიტეტებში (რუსთვის მერია, თელავის გამგეობა) ამავე ბრძანებით დამტკიცდა საბჭოს დებულება.

გორის მერიასთან, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, ნალენჯიხის, ოზურგეთის, ხულოს, შუახევის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობებში საბჭო შეიქმნა ბრძანების საფუძველზე, თუმცა მათი კორესპონდენციები არ შეიცავს ინფორმაციას საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე.

საბჭოს შექმნის ფაქტთან ერთად მნიშვნელოვანია საბჭოს საქმიანობის შეფასება, რადგან საბჭოს ფორმალური არსებობა ვერ უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით დასახული მიზნის მიღწევას.

მუნიციპალიტეტების მიერ, საბჭოს სხდომების გამართვის დინამიკასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საბჭოს შეკრების წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობა ერთი თვიდან ოთხ თვემდე მერყეობს. არსებული ინფორმაციით ახალქალაქის, გურჯაანის, ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტების გამგეობებში, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი საბჭო თვეში ერთხელ, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ორ თვეში ერთხელ, ჩოხატაურისა და თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობებში სამ თვეში, ხოლო რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში ოთხ თვეში ერთხელ იკრიბება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ამ კუთხით კარგი პრაქტიკის მაგალითს წარმოადგენს. საბჭო შეიქმნა 2015 წლის ივნისის თვეში და 2016 წლის იანვრამდე ჩატარდა საბჭოს ოთხი სხდომა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საბჭო შეიქმნა 2015 წლის ივლისში და მისი ფუნქციონირების პერიოდში გაიმართა ორი სხდომა. თბილისის მერიაში საბჭო შეიქმნა 2015 წლის თებერვლის თვეში და გაიმართა საბჭოს ორი სხდომა¹⁰⁹. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და თბილისის მერიის კორესპონდენციაში წარმოდგენილი იყო სხდომის დროს განხილული საკითხები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოგზავნილ წერილში საუბარია 2015 წლის 17 ივლისს გამართული საბჭოს სხდომის შესახებ, თუმცა კორესპონდენცია¹¹⁰ არ შეიცავს ინფორმაციას ჩატარებული სხდომების საერთო რაოდენობის შესახებ.

108 კორესპონდენცია N6436–25.11.2015.

109 კორესპონდენცია N10/73588–08.12.2015.

110 წერილი N2027–15.12.2015.

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი საბჭოს პირველი სხდომა ჯერ არ ჩატარებულა¹¹¹. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციით¹¹², საბჭოს სხდომა ასევე არ ჩატარებულა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილში¹¹³ არ არის საუბარი საბჭოს მიერ ჩატარებული სხდომების რაოდენობის შესახებ, თუმცა ნათქვამია, რომ საბჭოს რეკომენდაციით აღირიცხა პანდუსების გარეშე არსებული შენობა-ნაგებობები.

3.1.2. საბჭოებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ან/და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა

რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე შექმნილი საბჭოების საქმიანობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტებიდან მიღებული კორესპონდენციების ნაწილი არ შეიცავს ინფორმაციას საბჭოებში შშმ პირებისა და მათი ორგანიზაციების მონაწილეობის თაობაზე. მართალია წერილებში საუბარია საბჭოს მოწვეულ წევრებზე, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებზე, თუმცა არ არის დაკონკრეტებული ეს პირები და ორგანიზაციები არიან თუ არა შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციები.

ამ მხრივ, სრული ინფორმაცია მოგვანოდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობამ. მათ წერილში¹¹⁴ აღნიშნულია, რომ საბჭოს 11 წევრიდან ექვსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. ასევე კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ¹¹⁵, სადაც შექმნილი საბჭოს ხუთი წევრი შშმ პირია, ორი კი ორგანიზაციის წარმომადგენელი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი საბჭოს შემადგენლობაში შედის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე 11 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ საბჭოში არის ერთი შშმ პირი და ორი შშმ პირთა ორგანიზაციის წარმომადგენელი. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ოთხი შშმ პირთა ორგანიზაციის წარმომადგენელია ამასთან, საბჭოს შემადგენლობაში არ არის არც ერთი შშმ პირი.

ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ საბჭოში მხოლოდ ერთი შშმ პირია და არც ერთი მათი ორგანიზაციის წარმომადგენელი. ლანჩხუთისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიაში, ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ საბჭოებში მხოლოდ ერთი შშმ პირთა ორგანიზაციის წარმომადგენელი.

111 წერილი N02/10489–30.11.2015.

112 კორესპონდენცია N898/15–04.12.2015.

113 კორესპონდენცია N31/5242–10.12.2015.

114 წერილი N41/3651–10.12.2015.

115 წერილი N2/2661–30.12.2015.

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი საბჭოს წევრები არიან ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ა(ა)იპ ხელმძღვანელები.

ნალენჯიხისა¹¹⁶ და თელავის¹¹⁷ მუნიციპალიტეტებში შექმნილ საბჭოებში არ არიან წარმოდგენილი შშმ პირები და მათი ორგანიზაციები.

უნდა ითქვას, რომ რეგიონებში შექმნილ საკონსულტაციო ორგანოში გვხვდება შშმ პირთა ნაკლები ჩართულობის შემთხვევები, რაც, ბუნებრივია, ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეზე გადანყვეტილებების მიღების პროცესში მათ მონაწილეობას, განსაკუთრებით ამ პირთა საჭიროებებიდან გამომდინარე საკითხებთან დაკავშირებით.

3.1.3. საბჭოების შექმნის/ამოქმედების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიების, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნა/ამოქმედება, შესრულების მონიტორინგის დროს გამოიკვეთა ამ მიმართულებით არსებული რიგი ხარვეზები.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ სახალხო დამცველის აპარატს, მუნიციპალიტეტების დიდი ნაწილის მხრიდან არ მიენოდა მონიტორინგის ფარგლებში გამოთხოვილი ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. გარდა ამისა, წარმოდგენილი მასალა არ მოიცავდა ყველა საკითხს. ეს ფაქტორები კი აბრკოლებს არსებული სიტუაციის ობიექტური შეფასებისა და ანალიზის შესაძლებლობას.

მიღებული ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ 2016 წლის იანვრის მდგომარეობით, სამოქმედო გეგმის მიღებიდან ორი წლის შემდეგ, ქვეყნის მასშტაბით საბჭოები შექმნილია მხოლოდ 22 მუნიციპალურ ერთეულში. რაც მუნიციპალიტეტების საერთო რაოდენობასთან (75) შედარებით ძალიან მცირეა. არსებული მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე გადანყვეტილებების მიღების პროცესში შშმ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფასთან. მათი მონაწილეობის გარეშე ჯეროვნად ვერ გადანყდება საჭირო საკითხები. შშმ პირთა ცოდნის, გამოცდილებისა და რეკომენდაციების გაზიარება სავალდებულო და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროცესში.

მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაცია არ იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს რა გავლენა იქონია საბჭოების საქმიანობამ თვითმმართველ ერთეულებში შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, იმ პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვის პროცესზე, რაც მნიშვნელოვანია აღნიშნული პირებისთვის.

116 წერილი N1565–15.12.2015.

117 წერილი N1358–28.12.2015.

მონიტორინგმა კიდევ ერთხელ ცხადყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების ნაკლები ინფორმირებულობა შშმ პირთა უფლებების შესახებ. მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელ პირებს არა აქვთ გაცნობიერებული სამოქმედო გეგმით მათზე დაკისრებული ვალდებულება - უზრუნველყონ საბჭოების დროული ამოქმედება მათ საქმიანობაში შშმ პირთა (მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების) ჩართულობისათვის.

სამთავრობო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის¹¹⁸ თანახმად, უწყება შემოიფარგლა მუნიციპალიტეტებისთვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ მთავრობის N76 განკარგულების გადაცემით. ამასთან, ადგილობრივ თვითმმართველობებს ეთხოვათ ვალდებულებების შესრულება განკარგულებით დადგენილ ვადებში.

ამავე წერილში აღნიშნულია, რომ რამდენადაც სამოქმედო გეგმის მიხედვით შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნა და ამოქმედება უშუალოდ მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობის საკითხს წარმოადგენს და მათ არ გააჩნიათ ვალდებულება ანგარიში წარუდგინონ სამინისტროს ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ, სამინისტრო არ ფლობს შესაბამის ინფორმაციას.

118 კორესპონდენცია N01/335-05.02.2016.

4. **სწოხიარების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებთან დაკავშირებით**

მიუხედავად დოკუმენტების და წამოწყებების სიმრავლისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დღევანდელ რეალობაში კვლავ აწყდებიან დაბრკოლებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულუფლებიან წევრად მონაწილეობის პროცესში და მათი უფლებები კვლავ ირღვევა, რაც განპირობებულია მათ მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მედიას სოციალური ცვლილებების უდიდესი პოტენციალი გააჩნია და მას შეუძლია შეაფერხოს ან დააჩქაროს სტრუქტურული ცვლილებები ამ კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. ამის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში სიძულვილის ენის და სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის, სეგრეგაციის წყარო უმეტესად ხდება მედია. ხშირია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების უგულვებლყოფის, მათი სტიგმატიზირების შემთხვევები. სატელევიზიო პროგრამების/გადაცემების ფორმატში შეინიშნება მკვეთრად გამოხატული ნეგატიური ტენდენციები. თავის მხრივ, აღნიშნული მეტყველებს სამაუწყებლო სფეროში დასაქმებულ პირთა ცნობიერების ამაღლების საჭიროებასა და თვითრეგულირებადი მექანიზმების ეფექტურად მუშაობის აუცილებლობაზე.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენცია (UN CRPD),¹¹⁹ რომელიც ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოიცავს საგანმანათლებლო-აღმზრდელობით მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას მიმართონ დაუყოვნებლივ ზომებს, რათა აამაღლონ საზოგადოების ცოდნა (მათ შორის ოჯახის დონეზეც) შესაძლებლობის შეზღუდვის საკითხებზე და გააღრმავონ ამ პირთა უფლებებისა და ღირსებისადმი პატივისცემა. ისინი ყველა სფეროში უნდა ებრძოლონ სტერეოტიპებს, ცრურწმენებს და მავნე ადათ-წესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით. ამასთან, უფრო ფართოდ უნდა გაავრცელონ ინფორმაცია აღნიშნულ პირთა უნარ-ჩვევებისა და საქმიანობის შესახებ.¹²⁰ დასახელებული მიზნების მისაღწევად გამოყენებული ზომები უნდა მოიცავდეს: საზოგადოების შემეცნებითი კამპანიის წამოწყებას და გატარებას, რათა ხელი შეეწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაცნობიერებას, მათ მიმართ კეთილგანწყობას და, ამ საკითხში, სოციალური შეგნების ამაღლებას; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უნარ-ჩვევების, დამსახურებებისა და შესაძლებლობის აღიარებას.

119 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289>

120 მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის ა, ბ, გ ქვეპუნქტები.

მედიკალური ზომისა და მედიკალინის მრავალფეროვნების შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში CM/Rec (2007)2¹²¹ აღნიშნულია, რომ პლურალიზმი და მრავალფეროვნება არსებითია დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის, საჯარო დებატების, პოლიტიკური პლურალიზმის და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მრავალფეროვანი მოსაზრებების შესახებ ინფორმირებულობის ხელშეწყობისთვის. მედიას ცენტრალური ადგილი უჭირავს საზოგადოების აღქმის, იდეების, დამოკიდებულებების და ღირებულებების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

დღეის მდგომარეობით, მაუნყებლის მიერ პროგრამის მომზადებისა და გადაცემის პრინციპებს, წესებსა და სახელმძღვანელო რეკომენდაციებს საქართველოში განსაზღვრავს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუნყებელთა ქცევის კოდექსი“.¹²² კოდექსი სამაუნყებლო კომპანიებს აკისრებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებას. შესაბამისად, მათ თავი უნდა შეიკავონ ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს არატოლერანტულ დამოკიდებულებას სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების, შესაძლებლობის შეზღუდვის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა საფუძველზე. მაუნყებლები ჯეროვანი სამართლიანობითა და პატივისცემის დაცვით უნდა მოქმედებდნენ ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის მიმართ. ამასთან, სატელევიზიო პროგრამების/გადაცემების შემქმნელები/პროდიუსერები პროგრამის პოტენციურ მონაწილეებს უნდა ეპყრობოდნენ ზემოაღნიშნული პრინციპების დაცვით. კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მაუნყებელმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა აღწეროს არაშეურაცხყოფელი ტერმინოლოგიით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ამ პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას, ფიზიკურ და მორალურ კეთილდღეობას, მათგან თანხმობის მიღებას.

ამავე კოდექსის 55-ე მუხლი ადგენს მაუნყებლის მიერ მავნე და შეურაცხყოფელი მასალისგან დაცვის უზრუნველყოფისთვის დაწესებულ მოთხოვნებს, რომელთა თანახმად, მაუნყებლის მიერ პოტენციურად შეურაცხყოფელი მასალის გადაცემა გამართლებული უნდა იყოს სარედაქციო კონტექსტით და ემსახურებოდეს საზოგადოებრივ ინტერესს. მაუნყებელმა უნდა უზრუნველყოს გონივრული ბალანსის დაცვა გამომხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების დაცვას შორის. ამასთან, პოტენციური ზიანის შემცირების მიზნით მან ეკისრება შესაბამისი ინფორმაციის ან გაფრთხილების გავრცელების ვალდებულება.¹²³

ტრადიციული მედიასაშუალებები ჯერ კიდევ წარმოადგენენ ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროს საქართველოში.¹²⁴ შესაბამისად, მნიშვნელოვანია,

121 <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1089699>

122 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792>

123 55-ე მუხლის პირველი პუნქტი.

124 საქართველოს მედიის სიღრმისეული კვლევა: შედეგების შეჯამება. აგვისტო-ნოემბერი, 2009. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. http://www.epfound.ge/files/geo_media_research_report_ge_4.pdf

რომ ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებისას დაცული იყოს ძირითადი ჟურნალისტური სტანდარტები, როგორებიცაა ბალანსი, ობიექტურობა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა.

„ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“¹²⁵ მე-7 პუნქტის თანახმად, ჟურნალისტმა უნდა გააცნობიეროს მედიის მიერ დისკრიმინაციის ნახალისების საფრთხე და ყველა ზომას უნდა მიმართოს ამ კუთხით ნეგატიური პროცესების/შედეგების თავიდან აცილების მიზნით. მათ შორის ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების კუთხით მნიშვნელოვანია ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მიმოხილვა.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის (2014–2016 წლების) სამთავრობო სამოქმედო გეგმის“¹²⁶ II თავის (ცნობიერების ამაღლება) თანახმად, **კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ**, საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან და სხვა მედიასაშუალებებთან ერთად უნდა უზრუნველყოს 1(1) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მხარდასაჭერი კამპანიების წარმოება და სოციალური რეკლამის შექმნა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, მათ შორის: კორექტული ტერმინოლოგიის გამოყენებისა და პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, რომლებიც ორიენტირებული იქნება სტიგმატიზაციის, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ღირსების პატივისცემის საკითხებზე. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგის ინდიკატორად მითითებულია მედიასაშუალებათა პერსონალის, მათ შორის ჟურნალისტების მიერ მომზადებული რადიო და სატელევიზიო ეთერში, ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების გაშუქების გაზრდილი რაოდენობა. დაფინანსების წყაროდ მითითებულია დონორი ორგანიზაციები და სახელმწიფო ბიუჯეტი.

ამავე გეგმით¹²⁷ გათვალისწინებულია მედიასაშუალებათა პერსონალის, მათ შორის ჟურნალისტების ინფორმირება და ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე. შედეგის ინდიკატორად განსაზღვრულია მინიმუმ 50 ჟურნალისტისთვის ტრენინგის ჩატარება. დაფინანსების წყაროდ კი მითითებულია დონორი ორგანიზაციები. უნდა

125 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792http://qartia.org.ge/%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2/>

126 http://gov.ge/files/381_40157_501181_76200114.pdf

127 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის (2014–2016 წლების) სამთავრობო სამოქმედო გეგმა II თავი –ცნობიერების ამაღლება.1.2 პუნქტი.

აღინიშნოს, რომ დასახელებული ღონისძიების პასუხისმგებელ ორგანოდ განსაზღვრულია დაინტერესებული უწყებები, რაც ცალსახად არის ბუნდოვანი როგორც ვალდებულებათა შესრულების, ისე აღნიშნულ პროცესზე ეფექტური ზედამხედველობის განხორციელების თვალსაზრისით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია¹²⁸ როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან, ისე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლიდან¹²⁹ ზემოთ დასახელებული სამთავრობო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების თაობაზე.

მონოდებული ინფორმაციით¹³⁰, კომისიას მიაჩნია, რომ სამთავრობო სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების სამაუწყებლო მედიაში დანერგვის მიზნით აუცილებელია გარკვეული სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რადგან არსებული რეგულირება არ არის საკმარისი გეგმაში დასახელებული შედეგების მიღწევისათვის. აქედან გამომდინარე კომისია მუშაობს საკანონმდებლო წინადადების მომზადებაზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2015–2016 წლების პროგრამული პრიორიტეტების¹³¹ მიხედვით, გადაცემათა თემების შერჩევისას სახელმძღვანელო უნდა იყოს არა სხვა მედიასაშუალებების დღის წესრიგი, არამედ ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური სოციალური საკითხები.

უწყებიდან მიღებული ინფორმაციით,¹³² მაუწყებლის პირველი და მეორე არხი სისტემატურად ათავსებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომზადებულ სოციალურ რგოლებს. ამასთან, პირველი არხის საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ მიერ¹³³, ისევე როგორც საზოგადოებრივი რადიოს მიერ პერმანენტულად შუქდება აღნიშნულ პირთა პრობლემებთან, სფეროში არსებულ სიახლეებთან, მათ უფლებებთან დაკავშირებული ინფორმაციები.¹³⁴

მიუხედავად საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განხორციელებული გარკვეული პოზიტიური ქმედებებისა, კვლავ გამონვევად რჩება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საკითხი და ამ პროცესში სხვა მედიასაშუალებების მონაწილეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამავე კანონის 52–ე, 54–ე, 56 და 59–ე

128 კორესპონდენცია N 09-2/6434-06.08.2015.

129 კორესპონდენცია N09-2/488.

130 კორესპონდენცია №03/2158-15-05.10.2015.

131 <http://gpb.ge/uploads/documents/propri1516.pdf>

132 №202/1; 21.01.2016.

133 პირველი არხის მიერ მომზადებული ტელებლოგები: „მზის შვილები“, „მე შემიძლია საუბარი“ და სხვა. სოციალური თოქ-შოუს „რეალური სივრცის“ გადაცემები: „სოციალური სანარმოები“, „ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა საქართველოში“, „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“, „ადაპტირებული ავტოსკოლა“, „შეზღუდული გარემო“, „სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრება“ და სხვა. ამ კუთხით გაშუქდა თემები გადაცემებში: „კომუნიკატორი“, „ჩვენი დილა“, „დილა პირველზე“ და ა.შ.

134 ყველაზე ხშირად, უფლებებთან დაკავშირებული თემატიკა გაშუქდა შემდეგ გადაცემებში: „უფლება და თავისუფლება“, „ღია სტუდია“ და „პიკის საათი“. <http://radio1.ge/ge/home.html>

მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევაზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს საჩივრების დროულად განხილვას და დასაბუთებულ რეაგირებას. შესაბამისად, კომისიამ მოკლებულია უფლებამოსილებას განახორციელოს რეაგირება ისეთი მასალის გავრცელების დროს, რომელიც მიმართულია პირის ან პირთა ჯგუფის შესაძლებლობის შეზღუდვის ან სხვა სტატუსის თუ თვისების გამო შეურაცხყოფის, დისკრიმინაციის თუ ზემოთ დასახელებულ გარემოებებზე განსაკუთრებული ხაზგასმის შემთხვევაში.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით კომისიის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება ბეჭდური მედიის საქმიანობაზე ზედამხედველობა. ამ მხრივ გამონაკლისია ცენტრალური – და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთების საქმიანობის ზედამხედველობა საარჩევნო პროცესში ნინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, მარეგულირებელს მიაჩნია რომ ამ ნაწილში პასუხისმგებელ ორგანოდ უნდა განსაზღვრულიყო სხვა უწყება.¹³⁵ წერილში აღნიშნულია, რომ დასახელებული სამთავრობო სამოქმედო გეგმის პროექტთან დაკავშირებით კომისიამ წერილობით¹³⁶ აცნობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თუმცა მათი შენიშვნები არ იქნა გაზიარებული.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საკითხის მოგვარების მიზნით საჭიროა სისტემური და კომპლექსური მიდგომა, რაც ასახული უნდა ყოფილიყო სამთავრობო–სამოქმედო გეგმაშიც. არასრულყოფილი მონესრიგება, თავის მხრივ, აფერხებს იმპლემენტაციის პროცესს და შესაბამისი შედეგის მქონე ინდიკატორებიც არ გვაქვს.

135 კორესპონდენცია №03/2158–15; 05.10.2015.

136 კორესპონდენციები №03/2510–13–19.11.2015; №03/2824–13–25.12.2013.

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

საანგარიშო პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით გადადგმული გარკვეული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ რჩებოდა რიგი გამოწვევები.

განსაკუთრებული სიმწვავეთ გამოირჩეოდა სახელმწიფო სოციალური დახმარების მიღების პრობლემა სოციალურად დაუცველი იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“¹³⁷ დამტკიცების შემდეგ ბევრი მათგანისთვის არსებითად გართულდა საარსებო შემწეობით სარგებლობის უფლების მოპოვება. ამ ფაქტმა, თავის მხრივ, კიდევ უფრო დაამძიმა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

სახალხო დამცველის აპარატმა მოქალაქეთა მომართვის, ასევე სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეისწავლა ზემოთ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული რამდენიმე საქმე¹³⁸. შემდგომი რეაგირების მიზნით, ინფორმაცია გამოითხოვეს სოციალური მომსახურების სააგენტოდან. დასახელებული უწყებიდან მიღებული საპასუხო კორესპონდენციები არ შეიცავს ცალკეული სუბიექტისთვის შემწეობის შეწყვეტის კონკრეტულ მიზეზებს. მათში ასახულია ერთი და იმავე სახის მონაცემი, კერძოდ, ნორმატიული აქტებით განერილი ოჯახების შეფასების პროცედურა. სააგენტოს პასუხებში არ იკვეთება ინფორმაცია მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფის პრობლემის მოგვარების მიზნით მათი მხრიდან გასატარებელი შესაძლო რეაგირების თაობაზე. მსგავსი დამოკიდებულებით არ იცვლება ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, არ ხდება რეალური შედეგის მიღწევა, რაც იწვევს მოქალაქეთა უკმაყოფილებას სახელმწიფო უწყებების მიმართ.

კვლავ პრობლემას წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის აუცილებელი სერვისებით უზრუნველყოფის საკითხი. აღნიშნულის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად უნდა განვიხილოთ ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სახის მომსახურების დაგეგმვა წლების მანძილზე ხდება საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებული მიდგომის გარეშე. შედეგად, პირთა გარკვეული წრისთვის მისაწვდომი არ არის „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ამა თუ იმ ქვეპროგრამით სარგებლობის უფლება. აუცილებელია შეიცვალოს მსგავსი პრაქტიკა, რათა შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა ბავშვი ჩართული იყოს პროგრამაში და არსებული მოთხოვნა სრულად დაიფაროს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის არქონა არსებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ, განსა-

137 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2667586>

„სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N 758 დადგენილება.

138 საქმე N9838/15; N10906/15; N12172/15; N12642/1.5

კუთრებით რეგიონებში მცხოვრები პირებისთვის. ბევრი მათგანი არ ფლობს ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ამა თუ იმ სერვისის მისაღებად (მათ შორის დამხმარე საშუალებების) წარსადგენი დოკუმენტაციისა და სხვა პროცედურების თაობაზე¹³⁹.

გამონვევად რჩება ინკლუზიური განათლების პროცესში სწავლების ხარისხი და უწყვეტობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონებში, არ არის ჩართული აღნიშნულ პროცესში. პრობლემას წარმოადგენს სპეციალური პედაგოგების რაოდენობა და კვალიფიკაცია, სასწავლო დანესებულებებისა და სასწავლო მასალის მისაწვდომობა.

საჩხერის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე რამდენიმე პირს პრობლემა ჰქონდა გადაადგილების დამხმარე საშუალების, სპეციალური სასწავლო მასალით უზრუნველყოფის, ასევე სასწავლო დანესებულებამდე ტრანსპორტირების მოუწესრიგებლობის გამო.¹⁴⁰ კახეთის რეგიონში დაფიქსირდა სპეციალური პედაგოგების გადამზადების პრობლემა, საკლასო ინვენტარით (ადაპტირებული მერხი, სკამი) უზრუნველყოფის საკითხი.¹⁴¹ ასევე სსსმ ბავშვების ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში¹⁴².

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა საზოგადოების ცნობილი სახეების, განსაკუთრებით მაღალი საჯარო თანამდებობის პირების მხრიდან ნაკლები მიმღებლობა და სტიგმის გაძლიერების მცდელობები, რაც გამოიხატა მათ საჯარო გამოსვლებში. ამ ფაქტებს მწვავე პროტესტი მოჰყვა შშმ ბავშვების მშობელთა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან.

საქართველოს სახალხო დამცველი გამოეხმაურა დისკრიმინაციის შემცველ განცხადებებს და მოუწოდა ყველა პირს საქართველოში, თავი შეიკავონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ სტიგმისა და უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველი განცხადებებისაგან, ნაცვლად ამისა კი ყოველმხრივ უზრუნველყონ მათი უფლებების დაცვა და ღირსების პატივისცემა.

2015 წლის განმავლობაში გარკვეული წინსვლა შეინიშნებოდა დიდი ზომის ბავშვთა დანესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2016 წლის 18 იანვარს ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის. მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის შედეგად დიდი ზომის ბავშვთა სახლების ბენეფიციარებისთვის - მზრუნველობამოკლებული, მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ალტერნატიული, მცირე ზომის მომსახურებები უნდა

139 საქმე N2993/15.

140 საქმე N933/15; საქმე N18509/1.

141 საქმე N10934/15.

142 საქმე N896/16.

შეიქმნას. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში მცხოვრები ბავშვების შეფასება მულტიდისციპლინური გუნდის (პედიატრები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, ოკუპაციური თერაპევტები) მიერ.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ამ პროცესის გაგრძელება, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურების ოჯახთან მიახლოებულ პირობებში მინოდებას.

6. შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში კვლავ მწვავედ იდგა შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების საკითხი, რომელიც მოითხოვს კომპლექსურად გააზრებასა და მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, მოიცავს შრომის უფლების რეალიზებას. მიუხედავად საერთაშორისო სტანდარტებითა და შიდა კანონმდებლობით აღებული მნიშვნელოვანი ვალდებულებებისა, სახელმწიფო ვერ ახერხებს ქმედითი და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელებას ამ მიმართულებით.

„შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენცია მიზნად ისახავს უზრუნველყოს შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ადამიანის ყველა უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სრულყოფილი და თანასწორი სარგებლობა და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემა. კონვენციის მე-19 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს მიიღოს ყველა ეფექტური ზომა შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშესაწყობად. დამოუკიდებელი ცხოვრების გარანტირება კი გულისხმობს შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი მისაწვდომობის პირობების შექმნას მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე ადეკვატური რეაგირების გზით. კონვენციის შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან და გააძლიერონ სერვისები, რომელთა მიერ შეთავაზებული მომსახურების მიწოდება იქნება როგორც მიზანი, ასევე საშუალება ბენეფიციართა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისათვის. აღნიშნულის უმნიშვნელოვანეს ნინაპირობას წარმოადგენს მათი პროფესიული განათლება და დასაქმების ხელშეწყობა.

6.1. შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლების რეალიზება

შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების თაობაზე სახელმწიფოს ძირითადი ვალდებულებები მოცემულია გაეროს კონვენციის 27-ე მუხლში, რომლის მიხედვით მან უნდა უზრუნველყოს შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის პროფესიული ორიენტაციის პროგრამების, პროფესიული და უწყვეტი განათლების მისაწვდომობა; ხელი შეუწყოს შრომით ბაზარზე ამ პირთა დასაქმებისა და სამსახურებრივი წინსვლის შესაძლებლობებს, ისევე როგორც სამუშაო ადგილის მოძიებას; შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირები დაასაქმოს საჯარო სექტორში და უზრუნველყოს მათი კერძო სექტორში დასაქმება შესაბამისი პოლიტიკისა და ღონისძიებების გატარებით, რაც, შესაძლოა, მოიცავდეს პოზიტიურ სამოქმედო პროგრამებს, სტიმულირებას და სხვა ზომებს.

კონვენციის საბოლოო მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღია ბაზარზე, სხვებთან თანასწორ პირობებში, დასაქმების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. თუმცა, ამ მიზნის მიღწევამდე, დოკუმენტი განიხილავს სახელმწიფოს მხრიდან დროებითი მექანიზმების, მათ შორის პოზიტიური დისკრიმინაციის, სტიმულირების, მხარდაჭერის ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელების საჭიროებას, როგორც აუცილებელ და დროებით ჩარევას, დასახული მიზნის მიღწევისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველყოფასთან მიმართებით ქვეყნის შიდა კანონმდებლობით და წამყვანი სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული რეგულაციები საკმაოდ ზოგადი და დეკლარაციული ხასიათისაა. არასაკმარისია და არაადეკვატურია ამ მიმართულებით არსებული სახელმწიფო პროგრამები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლებას არეგულირებს საქართველოს შრომის კოდექსი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების გარკვეული დებულებები. სხვადასხვა ქვეყნის მიერ აპრობირებული პრაქტიკის ნაცვლად, რომელიც გულისხმობს დასაქმების ნახალისების მიზნით, კომპლექსურად და თანადროულად სტიმულირების სხვადასხვა ღონისძიების გამოყენებას, მოქმედი კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჯარო სამსახურში დასაქმებას სოციალური პაკეტის მიღების უფლების შეზღუდვას უკავშირებს. გამონაკლისი ეხება მკვეთრად გამოხატული და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ადამიანებს¹⁴³. აღნიშნული რეგულაციის მოქმედების შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ნაწილს, დასაქმების სანაცვლოდ, ფულად გასაცემელზე უარის თქმა უხდება, რამაც არათუ დასაქმების სტიმულირება, არამედ დასაქმების შესაძლებლობის გამოყენებაზე უარის თქმაც კი შეიძლება განაპირობოს.

ჯერ კიდევ 2008 წელს საქართველოს პარლამენტმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მათი დასაქმების ხელშეწყობა განსაზღვრა.¹⁴⁴ სამთავრობო სამოქმედო გეგმებით¹⁴⁵ კი გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის სრულყოფა, სამუშაოს მაძიებელი პირების მონაცემთა ბაზის ფორმირება, ინფორმაციული ბაზის შექმნა იმ საწარმოთა შესახებ, სადაც შესაძლებელია მათი დასაქმება, აღნიშნულ პირთათვის დასაქმების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შემუშავება/განხორ-

143 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის წესის“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილება, მუხლი 6.

144 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 2 დეკემბრის №604-II დადგენილება.

145 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამთავრობო-სამოქმედო გეგმა (2014-2016 წლებისათვის)“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის N76 განკარგულებით; „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო-სამოქმედო გეგმა 2014-2015“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილებით.

ციელება, მათ შორის, სახელმწიფო უწყებებსა და დანესებულებებში დასაქმების ხელშეწყობა, კერძო სექტორში დასაქმების სტიმულირება და სხვა. თუმცა, მოცემული მომენტისთვის ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები არ განხორციელებულა. კვლავ გამოწვევად რჩება აქტიური და მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. ამასთან, ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობების პრაქტიკული იმპლემენტაციისთვის არსებითია პოლიტიკური ნების არსებობა და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დანერგვა.

აღსანიშნავია, რომ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამა შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტში ეხება მხოლოდ ერთ-ერთი ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული პირის ვალდებულებას, რომ მან საქართველოში სავარძელ-ეტლის წარმოებისას, უზრუნველყოს დასაქმებულ შშმ პირთა შესაბამისი პროცენტული წილის ჩართულობა (დასაქმებულთა რაოდენობის 50%-ზე მეტი),¹⁴⁶ რაც არსებულ საჭიროებას თეორიულადაც ვერ პასუხობს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში დაგეგმილია მონყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა და დაბალ კონკურენტუნარიანი შრომითი რესურსებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რისთვისაც 2015–2018 წლებში წლიური ბიუჯეტი შეადგენს 100 000 ლარს.¹⁴⁷ ამასთან, „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ცალკე კომპონენტადაა გათვალისწინებული მონყვლადი და დაბალ კონკურენტუნარიანი ჯგუფებისთვის დასაქმების ხელშეწყობის მოდელების იდენტიფიცირება და დანერგვა.¹⁴⁸ ამ ეტაპზე სამინისტრო, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ერთად მუშაობს შესაბამის მოდელზე, რომელიც უმოკლეს ვადებში იქნება მიღებული მთავრობის დადგენილებით. ამასთან, მხარდაჭერითი დასაქმების სერვისის დანერგვის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი. ჩატარდა კონკურსი მხარდაჭერითი კონსულტანტებისა და კოორდინატორის შესარჩევად (სულ 11 პირი: 1 მხარდაჭერითი დასაქმების კოორდინატორი და 10 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი), თუმცა საკმარისი რაოდენობით კადრების შერჩევა ამ დროისათვის ვერ მოხერხდა. კონსულტანტები შშმ და სსსმ პირებს პოტენციურ დამსაქმებლებს დააკავშირებენ და დასაქმებაში დაეხმარებიან. მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით 2016 წლის ივნისში სამინისტროები გეგმავენ კონსულტანტების სასწავლო ვიზიტს დიდ ბრიტანეთში. გარდა ამისა, განათლებისა და

146 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №138 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, დანართი 1.6.1. სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი, მუხლი 5, „ა“ ქვეპუნქტი.


147 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 12 თებერვლის N01/9660 წერილი.

148 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 3 აპრილის N01/23910 წერილი.

მეცნიერების სამინისტრომ შექმნა პუბლიკაცია დამსაქმებლებისათვის, სადაც განმარტებულია, თუ რას ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება და რატომ შეიძლება იყოს ეს მომგებიანი დამსაქმებლისათვის.¹⁴⁹

მიუხედავად სახელმწიფოს დეკლარირებული ნებისა – უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება და რიგი პროექტების არსებობისა, სათანადო სამართლებრივი გარანტიების, პრაქტიკული ხელშეწყობისა და აღსრულების ეფექტური მექანიზმების ნაკლებობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლების რეალიზება სათანადოდ ვერ ხერხდება. აღნიშნულს ცხადყოფს დასაქმებულთა სტატისტიკური მაჩვენებელი და კვლევების შედეგები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მონოდეტული მონაცემების თანახმად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგისტრაციის ერთიან ონლაინსისტემაში worknet.gov.ge დარეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებელი უკიდურესად დაბალია, კერძოდ, 2015 წლის თებერვლის მონაცემებით სამუშაოს მაძიებლად დარეგისტრირებული 1022 შპმ პირიდან დასაქმდა მხოლოდ 12 პირი, აპრილის მონაცემებით, 1170 დარეგისტრირებული შპმ პირიდან დასაქმდა – 18 შპმ პირი.¹⁵⁰ ხოლო 2016 წლის თებერვლის მონაცემებით, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებული 1689 შპმ პირიდან მხოლოდ 21 არის დასაქმებული.¹⁵¹



149 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი: [\[http://mes.gov.ge/content.php?id=6151&lang=geo\]](http://mes.gov.ge/content.php?id=6151&lang=geo)

150 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 12 თებერვლის N01/9660 წერილი და 2015 წლის 30 აპრილის N01/30293 წერილი.

151 სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 1 თებერვლის N04/7381 წერილი.

სახელმწიფო ჯეროვნად ვერც საჯარო სექტორში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების კონვენციით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებს. საჯარო სამსახურის ბიუროს 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, საჯარო სექტორში დასაქმებული 53109 ადამიანიდან მხოლოდ 112 არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაჩვენებელი სახელმწიფო უწყებების მიხედვით ასე გამოიყურება:¹⁵²

საჯარო სექტორში შშმ თანამშრომელთა რაოდენობა	
საქართველოს მთავრობის და პრეზიდენტის ადმინისტრაციები	1
საქართველოს პარლამენტი	0
აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები	9
სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები	0
სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრების აპარატები	22
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	77
სასამართლოები	1
საჯარო სამართლის იურიდიული პირები	2
ჯამი	112

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევა¹⁵³ ადასტურებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამუშაოს დაწყება, განსაკუთრებით ღია კონკურსში მონაწილეობის შედეგად, თითქმის დაუძლეველ ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნულის მიზეზი ხშირ შემთხვევაში არის შშმ პირის დაბალი კვალიფიკაცია და/ან განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების არქონა. დასაქმება, ძირითადად, ხდება ორგანიზაციების ცალკეული ინიციატივების შესაბამისად (მაგ. საჯარო რეესტრი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები) და კამპანიური ხასიათისა. არაადაპტირებული ტრანსპორტი და სამუშაო სივრცე მნიშვნელოვანი ბარიერია სამსახურში მისვლის, სამუშაოს შესრულებისა და კოლექტივთან სოციალიზაციის პროცესში. დასაქმების შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელი შშმ პირების შემთხვევაში ძალიან დაბალია, რაც სხვა დამატებითი ბარიერების გათვალისწინებით, მის საქმიანობას არარენტაბელურს ხდის. გარდა ამისა, მუშაობის დაწყების შემთხვევაში, მათ ოჯახს შეიძლება შეუწყდეს სახელმწიფოს შემწეობა, ხოლო მათ – სოციალური პაკეტი.¹⁵⁴

152 საჯარო სამსახურის ბიუროს 2015 წლის ანგარიში, გვ. 22, ხელმისაწვდომია: <http://csb.gov.ge/uploads/2015_GEO_web.pdf>


153 „შშმ პირთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის თავისებურებები: შშმ პირების, დამსაქმებლებისა და სფეროს ექსპერტების დამოკიდებულებები“, თვისებრივი კვლევის ანგარიში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი.

154 იქვე, გვ. 94–95.

კვლევამ აჩვენა, რომ:

„ქვეყნის მასშტაბით არსებული არაადაპტირებული ფიზიკური გარემო და საზოგადოებრივი ტრანსპორტი შშმ პირებისათვის მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს როგორც დასაქმებისთვის, ისე სამუშაოს შენარჩუნებისთვის. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ზღუდავს შშმ პირთა განათლებას და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას; ასევე, არ აძლევს მათ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აქტიურობის საშუალებას. [...] შშმ პირებისთვის განათლების ხელმძღვანელობა მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ დაბალ პროფესიულ კომპეტენციასა და სამუშაო ბაზარზე არაკონკურენტუნარიანობას. [...] არასაკმარისი პროფესიული კომპეტენციის გამო, მათთვის სამსახურის შენარჩუნება საკმაოდ რთულია. [...] სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში დანერგული ინკლუზიური სწავლება ჯერჯერობით ვერ იძლევა იმ განათლებას, რაც შშმ პირს დასაქმებაში დაეხმარება. [...] გამოიკვეთა თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა, რომელიც ეფუძნება იმ ძირითად პრინციპებს და ღირებულებებს, რომლებსაც ეყრდნობა გაეროს 2006 წლის კონვენცია, რომლის თანმიმდევრული და ეფექტური განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შშმ პირთა დასაქმებას და რომლის თანახმად შშმ პირთა დასაქმება ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს. კვლევის მონაწილეებს ეფექტურად არ მიაჩნიათ შშმ პირების დასაქმებასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე სახელმწიფოს მხრიდან მიმართული ცალკეული ღონისძიებები, რომლებსაც მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი აქვს და არსებულ სურათს ვერ ცვლის.“¹⁵⁵

უკვე დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ სამსახურთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები კი ასე გამოიყურება¹⁵⁶:



155 იქვე, გვ. 96–97.

156 „მიკრო და მაკრო ფაქტორების გავლენა შშმ პირთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციასა და შრომით ეფექტურობაზე“, კვლევის ანგარიში, ნაწილი I, თსუ გამომცემლობა 2015, გვ. 19, დიაგრამა N4.

6.2. სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ შხმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობები განსაკუთრებით შეზღუდულია სახელმწიფო ზრუნვის პერიოდის ამონურვის შემდეგ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომლებიც ბავშვობის ასაკიდან იმყოფებოდნენ ინსტიტუციებში და სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ იძულებულნი ხდებიან დატოვონ დაწესებულება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოუმზადებლად. სახელმწიფო მათ არ სთავაზობს ადეკვატურ მხარდაჭერას, რის გამოც, სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, ისინი საცხოვრებლისა და შესაბამისი სერვისების გარეშე რჩებიან.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების¹⁵⁷ ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ადამიანებისთვის დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლის პროცესის უმთავრესი გამომწვევა სათანადო საცხოვრებლის არქონაა, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, განათლების, დასაქმების და სხვა ძირითადი უფლებების რეალიზებასთან. სახელმწიფო ზრუნვასა და უსახლკარობას შორის მაღალი კორელაციის გამომწვევ მიზეზებს წარმოადგენს: სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა მობილობის (დაწესებულების შეცვლის) მაღალი მაჩვენებელი, დაუგეგმავი და მოუმზადებელი ზრუნვიდან გამოსვლის პროცესი, ოჯახებში რეინტეგრაციის წარუმატებელი მცდელობები, არსებითად მნიშვნელოვანი სოციალური უნარების არქონა.¹⁵⁸ აღნიშნული განსაკუთრებული სიმწვავეთ თავს იჩენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცხოვრებაში, გარემოში მათთვის სხვა უამრავი ბარიერის არსებობის ფონზე.

არაგონივრული იქნება ვივარაუდოთ, რომ ზრუნვის არმქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სახელმწიფოსა და ოჯახების მხარდაჭერის გარეშე შეძლებენ დამოუკიდებლად შეუდგნენ მონიფულ ცხოვრებას, როდესაც მათთვის ხელმისაწვდომი არ არის საცხოვრებელი, სკოლის შემდგომი განათლება, პროფესიული სწავლება და სამუშაო ადგილი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის შესაბამისად განხორციელდებოდა ინსტიტუციებში მცხოვრები ბავშვების მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის – მათთვის განათლების მიცემა, პროფესიული და ყოფითი უნარ-ჩვევების შექმნა და ინსტიტუციის დატოვების შემდეგ შესაბამისი მხარდაჭერის შეთავაზება. შედეგად, ასეთი ადამიანების უმრავლესობა ვერ ახერხებს საზოგადოებაში ინტეგრაციას, დასაქმებას, ხდება სოციალურად დაუცველი და, ხშირად, უსახლკაროც. საკითხს რიგ შემთხვევაში არეგულირებს ეროვნული საკანონმდებლო აქტები, თუმცა მათი უმრავლესობა პრაქტიკაში არ მუშაობს.

157 საქმე N1314/15; N3820/15; N6066/15; N9697/15.

158 ფილიპ მენდესი „ახალგაზრდების გასვლა სახელმწიფო ზრუნვიდან და განსახლება“ (2014), გვ. 4. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://monash.academia.edu/philipMendes>> [ბოლოს ნანახია:24.03.2016].

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით სახალხო დამცველისთვის გამოგზავნილ კორესპონდენციაში¹⁵⁹ მიუთითებს „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“¹⁶⁰ „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015–2020)“¹⁶¹ და „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ არსებობაზე, ამავდროულად აღნიშნავს, რომ სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში არ არის გათვალისწინებული საცხოვრებლით უზრუნველყოფის კომპონენტის დაფინანსება.

სამინისტროს მიერ მითითებული „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015–2020)“ მხოლოდ რამდენიმე პუნქტი მოიცავს სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდამჭერ ღონისძიებებს, რომელთა ფარგლებში სახელმწიფოს ვალდებულება შემოიფარგლება მათი ჩართვით სასწავლო, არაფორმალური განათლების, პროფესიულ/სახელობო, კულტურულ, ხელოვნების და სპორტულ-რეკრეაციულ ღონისძიებებში,¹⁶² პროფესიული პროგრამების დამუშავებით¹⁶³ და სტუდენტური საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფით.¹⁶⁴ ეს უკანასკნელი, ბუნებრივია, არ გულისხმობს მათთვის საცხოვრებელის ხანგრძლივი ვადით ან საკუთრებაში გადაცემას.

სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ზრუნვიდან გამოსული პირების ინკლუზიას ძირითად სოციალურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ადრეული ჩარევა მხარდამჭერი პროგრამებითა და ღონისძიებებით. სახელმწიფოს მიერ ჩარევა არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ პიროვნების კრიზისულ სიტუაციებში აღმოჩენის შემდგომ, როდესაც, შესაძლოა, უკვე დაგვიანებულია უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება.¹⁶⁵

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემების¹⁶⁶ ანალიზის (ბოლო 5 წლის განმავლობაში სახელმწიფო ზრუნვიდან სულ გავიდა 36 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი) საფუძველზე ვასკვნით, რომ ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისათვის ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება არ მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებით დიდი ფინანსური რე-

159 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 12 ივნისის N01/42145 წერილი

160 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის N553 განკარგულებით

161 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის N349 განკარგულებით

162 „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015–2020)“, პუნქტი 4.2.3.1. [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2766763>]

163 იქვე, პუნქტი 4.2.2.2.

164 იქვე, პუნქტი 4.1.2.1.

165 ფილიპ მენდესი „ახალგაზრდების გასვლა სახელმწიფო ზრუნვიდან და განსახლება“ (2014), გვ. 3. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://monash.academia.edu/philipMendes>> [ბოლოს ნანახია: 24.03.2016].

166 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 14 აგვისტოს N01/60987 წერილი.

სურსის ხარჯვას და არ წარმოადგენს დაუძლეველ ტვირთს, ნების არსებობის შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2015 წლის 24 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით (N09-3/6891) მიმართა საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ, თუმცა კანონმდებლობით გათვალისწინებული 20 დღიანი ვადის¹⁶⁷ მიუხედავად, საქართველოს მთავრობიდან დღემდე არ მიგვიღია აღნიშნული ზოგადი წინადადების განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია.¹⁶⁸

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- უზრუნველყოს უახლოეს მომავალში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება
- მოახდინოს შრომისა და დასაქმების მარეგულირებელი კანონმდებლობის რევიზია მასში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ასახვის მიზნით
- უზრუნველყოს სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების საკანონმდებლო რეგულირება, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის განხორციელებისთვის ინსტიტუციური ჩარჩოს სწორად განსაზღვრა, იმპლემენტაციისა და კოორდინაციის ორგანოებს შორის ფუნქციების გადანაწილების რევიზია და მექანიზმების რეალურად ამოქმედება

167 „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24.

168 2015 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მთავრობას ასევე გაეგზავნა N09-3/10003 წერილი, ზოგადი წინადადების განხილვის შედეგების მონოდების ვალდებულების შესახების მიზნით.

- მისანვდომობის სტანდარტების აღსრულებისა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნის მიზნით შეიტანოს ცვლილებები და დამატებები „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტში“
- კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან და სხვა უწყებებთან თანამშრომლობით დროულად უზრუნველყოს სათანადო ზომების გატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სატელევიზიო პროგრამებისა და ფილმების მისანვდომობის მიზნით. მათ შორის, სავალდებულო რეგულაციების შემოღების გზით
- უზრუნველყოს მედიასივრცეში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებთან დაკავშირებული კომპლექსურ მიდგომათა დანერგვა და ეფექტური პოლიტიკის განხორციელება ცნობიერების ამაღლების მიზნით
- „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ დამტკიცებამდე უზრუნველყოს არსებული მოთხოვნის კვლევა/შესწავლა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ღონისძიებების დაგეგმვა
- უზრუნველყოს თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის და სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის თაობაზე, გაეროს 2006 წლის კონვენციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით
- სახელმწიფო პოლიტიკით ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ღია ბაზარზე, სხვებთან თანასწორ პირობებში, დასაქმების შესაძლებლობის უზრუნველყოფას
- უზრუნველყოს სტიმულირების, მხარდაჭერის ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღია ბაზარზე საჯარო და კერძო სექტორში დასაქმების მიზნით
- საკანონმდებლო რეგულაციებით აღმოფხვრას შშმ პირთა დასაქმების ხელშემშლელი ისეთი ფაქტორები, როგორცაა სოციალური პაკეტისა და საარსებო შემწეობის შეწყვეტის შესაძლებლობა
- უზრუნველყოს შშმ პირთა დასაქმების მიზნით აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებების მიერ სამთავრობო სამოქმედო გეგმებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და ეფექტურად შესრულების ზედამხედველობა და კოორდინაცია
- პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით შეიქმნას სტრატეგია და

სამოქმედო გეგმა (კონკრეტული პროგრამებით, ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანებით, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებებით, შესრულების ინდიკატორებით, შედეგების დაგვარად მოკლე ვადებით და კონკრეტული დაფინანსების წყაროებით) სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ

- დაუყოვნებლივ მოხდეს სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსულ იმ პირთა თავშესაფრით და ადეკვატური სოციალურ დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფა, რომლებსაც მოცემული მომენტისთვის ამის კრიტიკული საჭიროება აქვთ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილი მომსახურების/სერვისის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, მისაწვდომი ფორმით, განსაკუთრებით, რეგიონების დონეზე
- უზრუნველყოს სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის გადახედვა და მისი ფორმირება იმგვარი სახით, რაც უზრუნველყოს შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ოჯახებს სახელმწიფო შემწეობით
- უზრუნველყოს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში დიდი ზომის ბავშვთა სახლების ყველა ბენეფიციარის- მზრუნველობამოკლებული, მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მოცვა და დაჩქარებული წესით შექმნას ალტერნატიული, მცირე ზომის მომსახურებები
- უზრუნველყოს შრომით კანონმდებლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ასახვის მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება
- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობით
- აწარმოოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჯარო და კერძო სექტორში დასაქმების სტატისტიკური მონაცემები

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამებით ამ პირთა დასაქმების საკითხების საჭიროებების ადეკვატურად მოცვა
- უზრუნველყოს კერძო სექტორში შშმ პირთა დასაქმების სტიმულირების ღონისძიებების ინიცირება და კომპეტენციის ფარგლებში განხორციელება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების პროცესში სწავლების ხარისხი და უწყვეტობა
- გააძლიეროს საქმიანობა სპეციალური პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, განსაკუთრებით რეგიონების დონეზე
- დააჩქაროს სასწავლო დანესებულებების მისანვდომობის კუთხით გასატარებელი ღონისძიებები
- ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების სისტემის განვითარების შესახებ წინადადებების შემუშავების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება
- უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემების მოგვარების პროცესში

კომუნიკაციების მარაგულირებელ ეროვნულ კომისიას:

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ელექტრონული სერვისების საჭიროებებისა და მათი განვითარების შესაძლებლობების შესწავლა
- შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით დროულად და ხარისხიანად უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირ-

თათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სატელევიზიო პროგრამების და ფილმების მისაწვდომობა სურდოთარგმანის, აუდიოდეკრიფციული მეთოდების (ტიფლოკომენტარი), აფიშირებული ტექსტის, ბრაილის შრიფტის, ტაქტილური კომუნიკაციის, მსხვილი შრიფტის, მულტიმედიის, გამაძლიერებელი თუ ალტერნატიული კომუნიკაციისა და სხვა მისაწვდომი ფორმების, მეთოდების, საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც კონკრეტულად იქნება განერილი გასათარებელი ღონისძიებები/აქტივობები, მათი შესრულების ვადები, ინფორმაცია შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების შესახებ, დაფინანსების წყარო და შედეგის გაზომვადი ინდიკატორები

საზოგადოებრივ მაუწყებელს და სხვა მედიასაშუალებებს:

- ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მხარდასაჭერი კამპანიების და სოციალური რეკლამების წარმოებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების იმ კუთხით გაშუქებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება სტიგმატიზაციის, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და ამ პირთა უფლებებისა და ღირსების პატივისცემის დაცვაზე
- ნებისმიერი პროგრამების/გადაცემების მომზადებისა და გაშუქების პროცესში იხელმძღვანელონ მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ტოლერანტობის პრინციპებით. არ შეუწყონ ხელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას და მკაცრად დაიცვან საერთაშორისო სტანდარტებითა თუ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები

თბილისის მერიას:

- შეიმუშავოს მისაწვდომობის სტანდარტების აღსრულებისა და ზედამხედველობის ეფექტური პოლიტიკა
- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მონყოების პროცესში ეფექტური ზედამხედველობის მექანიზმის დანერგვა. ამასთან, ისეთი სამსახურის განსაზღვრა, რომელიც ალჭურვილი იქნება მისაწვდომობის სტანდარტების აღსრულებისა და მონიტორინგის ეფექტური ბერკეტებით (რეპრესიული, პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს ნებართვაზე უარს, ინსპექტირებას, დაჯარიმებას და სხვა ღონისძიებების გამოყენებას)

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- უზრუნველყონ სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის
- ახალი მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალებების შექმნისას გაითვალისწინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები
- უზრუნველყონ ამ პირთათვის სპეციალური ადგილების გამოყოფა ავტოსადგომებზე
- უზრუნველყონ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლების ინფორმირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების საკითხებზე
- უზრუნველყონ შშმ პირთათვის სივრცის მონყობის მარეგულირებელი სამშენებლო სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა და მათ აღსრულებაზე ზედამხედველობა
- უზრუნველყოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფის 2014–2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით“ დადგენილი ვალდებულების დროული შესრულება
- უზრუნველყოს რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნისა და ამოქმედების პროცესში შშმ პირებისა ან/და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა
- უზრუნველყოს საბჭოს შემადგენლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ორგანიზაციების წარმომადგენლების თანაბარი მონაწილეობა